ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 13 ივლისი, 2023 №136 (9172) ფასი: 80 თეთრი

გიორგი ჩალაძე: „უცხოელმა ექიმებმა სააკაშვილთან შესვლა ბრიუსელსა და თბილისს შორის ინტენსიური და მაღალი დონის მოლაპარაკებების შედეგად შეძლო“

გვ.5

გვ.5

შს მინისტრის მოადგილე წყნეთში 15 წლის ბიჭის გარდაცვალებაზე – „ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს“

„სერგეენკო და ყიფიანი ივანიშვილის ახლო გარემოცვაა!“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძეს ურჩევნია, თავის თავს მიხედოს, პარტიაში ხუთი კაცი არ ჰყავს, ვინც გულწრფელად მხარს დაუჭერს“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ქვის ხანას ვუბრუნდებით, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით“

„ქართული ოცნება“ შეშინებულია, ნელ-ნელა ძალაუფლებას კარგავს“

გვ.2

პაატა მანჯგალაძე: „ვიხილავთ დიდი ოპოზიციური კოალიციის შექმნის შესაძლებლობას“

ანა ფოტიგა: „ევროპა არის საქართველოსთვის ადგილი, სადაც უნდა იყოს“

გვ.3

არჩილ თალაკვაძე: „სერგეენკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკიდან გავიდეს და სხვა სფეროში საქმიანობა განაგრძოს“

გვ.2

გვ.3

რატომ შევიდა აუდიტის სამსახური შსს-ში

რატომ ვერ იბარებენ წისქვილები ფერმერებისგან ქართულ ხორბალს 70 თეთრად

გვ.4

გვ.5

ბათუმში, 13 წლის შვილის გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს

გვ.4

ნატოს სამიტის წინ რუსებს ბელარუსიდან რუსი მობილიზებულები გააყვანინეს

გვ.7

ქართველი ჩოგბურთელი ნახევარფინალში არ შეუშვეს

1993230720223

5 თეა წულუკიანმა სამსახურიდან კიდევ 2 ადამიანი გაათავისუფლა

4 პრეზიდენტ ზელენსკის განცხადება

6 „დროში მოგზაურმა“ აშშ-ს არნახული ბუნებრივი კატასტროფები უნინასწარმეტყველა

6 პოლიციის ძალლის დაკბენისთვის მამაკაცმა ციხეში ამოჰყო თავი

„ქართული ოცნება“ შეშინებულია, ნელ-ნელა ძალაუფლებას კარგავს“

ნიკა ჩიტაძე: „ქვის ხანას ვუბრუნდებით, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ნიკა ჩიტაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ნატოს სამიტი გაიმართა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ჩვენი ქვეყანა ამ მოვლენებს ჩამორჩა. რატომ არ ესწრებოდნენ სამიტს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები? ზოგადად, რამდენად ასცდა ჩვენი ქვეყანა ამ კურსს, რასაც ნატოში გაწევრიანება ჰქვია?

– სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა უკვე დიდი ხანია ასცდა ამ კურსს, რომელიც საქართველოს ევროპულსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ითვალისწინებს. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება თვითონ საქართველოს შიგნით დემოკრატიის უკუსვლით. ამას დასავლელი და ევროპელი პარტნიორებიც აღნიშნავენ და ეს დასტურდება კიდეც სხვადასხვა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების მონაცემებით. ნატოს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ქვეყანა, რომელსაც სურს ნატოს წევრობა, პირველ რიგში, უნდა იყოს დემოკრატიული. ნატო დემოკრატიული ქვეყნების ალიანსისგან შედგება. ეს გახლავთ დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობა, ისევე, როგორც ევროკავშირი.

– ამ სამიტზე ჩვენს ქვეყანაზე არავის უსაუბრია, როცა წინა წლებში დადებითი შეფასებები მოდიოდა და მოლოდინიც დიდი იყო. ახლა ამ ყველაფერმა თითქოს გვერდი აგვიარა. რა მოხდა, რა პოლიტიკას აწარმოებს „ქართული ოცნება“?

– ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკაა, რომ პირველ რიგში ნებისმიერ ფასად ძალაუფლება შეინარჩუნოს. მათ შორის, თუნდაც ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობების გაუარესების ფასად. რაც მოხდა კიდეც. მას შემდეგ, რაც დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი, „ქართული ოცნება“ ძირითადად აკრიტიკებს და ლანძღავს დასავლეთს. ავრცელებს მათ მიმართ ცილისწამებას, თითქოს დასავლეთს სურს, საქართველოს ომში ჩართვა და საქართველომ თავი აირიდა ომისგან და არ დაუშვა აქ მეორე ფრონტის გახსნა. აბსოლუტური ტყუილია ეს ყველაფერი!

– თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება. რა ხდება, მიზანმიმართულად აზიანებენ ამ პროცესს?

– კი ბატონო, ასეა. დიახ, თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება ავიღოთ, თითქოსდა საქართველოს არაფერი აქვს შესასრულებელი და აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს. ამაზე არა მარტო პარლამენტის თავმჯდომარე, არამედ „ოცნების“ ყველა წევრი საუბრობს.

– ზუსტად იგივეს ამბობენ 12 პუნქტთან დაკავშირებით, ზედმიწევნით შევასრულეთო, შეასრულეს?

– ევროკავშირის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამი პუნქტია შესრულებული. მთავარი მოთხოვნა 12 პუნქტთან დაკავშირებით, რომ უნდა მოხდეს დეოლიგარქიზაცია, დაპირისპირების შემცირება, ამ ფონზე რა ხდება? პირიქით, აღრმავებენ ამ დაპირისპირებასა და პოლარიზაციას.

– ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ აგრესიული ჯგუფები.

– დიახ, განსაკუთრებით თავის აქტივისტებს უწყობენ ხელს, ამ შავ-ბნელ ძალებს და აპარპაშებენ ქვეყანაში. დევნიან განსხვავებულ აზრს. თუ სადმე ოპოზიციის შეკრებაა, ან მსგავსი ღონისძიება, მიუსევენ ამ აგრესიულ ძალებს. ქვების სროლაზე გადავიდა „ოცნება“. ქვის ხანას ვუბრუნდებით, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. გარდა ამისა, ხდება თავდასხმები ოპონენტებზე.

– აღარ არსებობს ნაციონალური მოძრაობაო და თუ აღარ არსებობს, რატომ დევნიან?

– დიახ, საინტერესო საკითხია. თუ საფრთხეს ვერ ხედავენ და თუკი დასრულებულია, რატომ დევნიან ნაცმოძრაობის წევრებს და მათზე თავდასხმებს ახორციელებენ. „ქართულ ოცნებას“ სინამდვილეში ძალიანაც ეშინია, ნელ-ნელა ძალაუფლებას კარგავს. ყველა გამოკითხვა იმას აჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა. მეორე მხრივ, არც ოპოზიციის რეიტინგი იზრდება, რაც სამწუხაროა.

– 2024 წლის არჩევნები მოდის. ვისმენთ შეფასებებს, რომ წინასწარ ემზადება ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად. ვსაუბრობთ, რომ ოპოზიციაც სუსტია. რამდენად მოახერხებს ოპოზიცია, დაუპირისპირდეს ხელისუფლებას და არ მისცეს არჩევნების გაყალბების საშუალება?

– ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი დაესწროს არჩევნებს. ასევე უნდა გააქტიურდნენ ოპოზიციის აქტივისტებიც. უნდა შეხვდნენ მოსახლეობას, ბევრი უნდა ესაუბრონ. აუხსნან რას შეცვლიან, რას გააკეთებენ.

– ეს დაპირისპირება და კინკლაობა ოპოზიციაში აზიანებს მათ რეიტინგს. რას ფიქრობთ, ნაცმოძრაობაში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებზე? აქამდე ამბობდნენ, რომ სააკაშვილი იქნებოდა მათი პრემიერობის კანდიდატი, ახლა ითქვა, რომ გიორგი ვაშაძეს დაუჭერენ მხარს.

– რა თქმა უნდა, სამწუხაროა ეს დაპირისპირება და შიდა გარჩევები. განსხვავებული აზრი, კი ბატონო, შესაძლოა ჰქონდეთ სტრატეგიასთან და ტაქტიკასთან დაკავშირებით, თუმცა, არავითარ შემთხვევაში, ეს არ უნდა გადაიზარდოს კონფრონტაციაში და პიროვნულ დაპირისპირებაში. მეორე მხრივ, ძალიან კარგია, როდესაც ნაციონალური მოძრაობა აცხადებს მზაობას, ითანამშრომლოს სხვა ოპოზიციურ პარტიებთან, რომ მოხდეს გაერთიანება და საერთო ინტერესების განსაზღვრა.

– რამდენად მომგებიანი იქნება ოპოზიციისთვის ვაშაძის პრემიერობის კანდიდატად დასახელება?

– გიორგი ვაშაძე გახლავთ წინა ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი. სწორედ მის სახელს უკავშირდება იუსტიციის სახლების შექმნა. მას გააჩნია ბრწყინვალე განათლება და ის მეტად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია.

– მისი ამერიკაში ვიზიტი და მაღალი დონის შეხვედრები სწორედ ამ საკითხთან იყო დაკავშირებულიო. რამდენად ექნება ოპოზიციას დასავლეთიდან სერიოზული მხარდაჭერა?

– ოპოზიციას აუცილებლად ექნება მხარდაჭერა, ოღონდ, რასაკვირველია, აქ საუბარი არ არის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

– ფინანსურად, იგივე გიორგი ვაშაძეს, დავით კეზერაშვილი უჭერს მხარსო. ამაზე რას ფიქრობთ?

– თვითონ კეზერაშვილს რაც შეეხება, პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემთვის მისი ფიგურა მიუღებელია. ერთი მხრივ, წინა ხელისუფლებაში იყვნენ გიორგი ვაშაძის დონის პოლიტიკოსები, კახა ბენდუქიძის დონის რეფორმატორები, მაგრამ მეორე მხრივ, იყვნენ კეზერაშვილის, ბეჟუაშვილის მსგავსი პერსონები, რომლებიც ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ამიტომაც ჰქონდა წინა ხელისუფლებას გარკვეულ სფეროში წარმატებები და გარკვეულ სფეროში ჩავარდნები.

– ახლაც კეზერაშვილი მოიაზრება ამ პარტიის უკან და აზიანებს თუ არა ეს ნაცმოძრაობას?

– ფინანსური რესურსი აუცილებელია, მაგრამ საიდან დააგროვა მან ამხელა ქონება? თავდაცვის მინისტრი იყო, რა გზით იშოვა დიდი ფული? გამოვიდეს და აუხსნას მოსახლეობას. თუნდაც ქოლ-ცენტრებთან დაკავშირებითაც არ გაცემულა კითხვებს პასუხი. მოკლედ, კეზერაშვილი ჩემთვის მისაღები ფიგურა არ არის.

– გაქვთ მოლოდინი რომ 2024-ისთვის სურათი შეიცვლება?

– კი. არის ამის შანსები, ოღონდ წინასწარ უნდა დაიწყოს ოპოზიციამ ამისთვის სამზადისი. „ქართული ოცნება“ კი შეეცდება გაყალბებას, მაგრამ მაქსიმუმ გააყალბონ 7 ან 10%, მეტს ხომ ვერ გააყალბებენ?! „ოცნების“ ხელისუფლებას ამის უფლებას არავინ მისცემს.

პაატა მანჯგალაძე: „ვიხილავთ დიდი ოპოზიციური კოალიციის შექმნის შესაძლებლობას“

– თუ იქნება შეთანხმება ოპოზიციის შიგნით და გიორგი ვაშაძე იქნება პრემიერმინისტრობის კანდიდატი, ეს მხოლოდ წაადგება საერთო ოპოზიციურ პროცესს – ჩვენ, ობიექტური კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ვამბობთ, რომ გიორგი ვაშაძე, რა თქმა უნდა, იქნება უნიკალური კანდიდატი, მთავარია, ახლა ამაზე შეთანხმდეს დანარჩენი ოპოზიცია, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, განიხილება დიდი ოპოზიციური კოალიციის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც იქნება არა მესამე ძალა, არამედ ძალა, რომელიც დაამარცხებს ხელისუფლებას არჩევნებში.

– რაც შეეხება გიორგი ვაშაძის პრემიერობის საკითხს, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ პრემიერობასთან დაკავშირებული საკითხი ამ ეტაპზე არ იხილება, მაგრამ ჩვენ ვიხილავთ დიდი ოპოზიციური კოალიციის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც იქნება არა მესამე ძალა, არამედ ძალა, რომელიც დაამარცხებს ხელისუფლებას არჩევნებში. სრულდება მოლაპარაკებების პირველი ფაზა და ეს შემიძლია დავადასტურო. ასევე, ვფიქრობთ, რომ მინისტრის კაბინეტი უნდა იყოს დასახელებული იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ პროპაგანდას გამოეცალოს ძალა და არ დააშინონ ადამიანები, რომ ვიღაც მოდის, ვიღაც ბრუნდება და ა.შ. ახალი ლიდერების დრო მოვიდა და ამას ნახავს ყველა ერთად – პროფესიონალი ადამიანები იქნებიან ამ პროცესში.

რაც შეეხება დაბრუნებას – „სტრატეგია აღმაშენებელი“ არ უქმდება, არც სხვა პარტიები, ნაციონალური მოძრაობა, არც ვინმე რომელიმე პარტიაში ერთიანდება. პირიქით, ვქმნით ახალ ზეპარტიულ, ზეეროვნულ პროცესს, სადაც მთავარი იქნება არა პარტიები, არამედ ადამიანი და ახალი თაობის ლიდერები. ჩვენ კარს ვუხსნით პროევროპულ, პროეროვნულ, პროდასავლურ ყველა ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ეროვნული ინტერესი. ეს არის ახალი ეროვნული პროცესი.

ჩვენ ვსაუბრობდით კრიტერიუმებზე და მთავარი კრიტერიუმი არის გაკეთებული საქმე, რისი გაკეთების რესურსი აქვს კონკრეტულ ლიდერს. თუ ამაზე ზიდგა საქმე 28 წლის გიორგი ვაშაძემ, მინისტრის მოადგილის პოზიციიდან გააკეთა უნიკალური რეფორმა იუსტიციის სახლების სახით, რომელზეც საუბრობდნენ ინგლისის პარლამენტში, ამაზე გადაცემებს აკეთებდა მსოფლიოს სხვადასხვა მედია, დღეს საქართველო ცნობილია ქვისა და კვერცხის სროლით. ამ პარადიგმის შეცვლა ნამდვილად შეუძლია გიორგი ვაშაძეს. თუ იქნება შეთანხმება ოპოზიციის შიგნით და გიორგი ვაშაძე იქნება პრემიერმინისტრობის კანდიდატი, ეს მხოლოდ წაადგება საერთო ოპოზიციურ პროცესს, – განაცხადა მანჯგალაძემ.

სალომე ზურაბიშვილი: „ძლიერი ალიანსი საქართველოსა და უკრაინისთვის ერთადერთი გზაა მშვიდობისა და თავისუფლებისთვის“

– ძლიერი ალიანსი საქართველოსა და უკრაინისთვის ერთადერთი გზაა მშვიდობისა და თავისუფლებისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „ტვიტერზე“ წერს.

მისი თქმით, ვილნიუსში ატლანტიკურმა ალიანსმა უკრაინისადმი თავისი ერთიანობა და ურყევი მხარდაჭერა აჩვენა.

– გულითადად მივესალმები ამ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აძლიერებენ უკრაინის უსაფრთხოებასა და მიზანდასახულობას.

ძლიერი ალიანსი საქართველოსა და უკრაინისთვის ერთადერთი გზაა მშვიდობისა და თავისუფლებისთვის.

არჩევანი ჩვენზეა და არანაირი რუსული ვეტო ნებადართული არ უნდა იყოს, – წერს პრეზიდენტი.

არჩილ თალაკვაძე: „სერგეენკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკიდან გავიდეს და სხვა სფეროში საქმიანობა განაგრძოს“

– დავით სერგეენკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკიდან გავიდეს და სხვა სფეროში საქმიანობა განაგრძოს, სხვა სკანდალის, სენსაციის ძებნა აქ არის ზედმეტი იმიტომ, რომ ის არ არსებობს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, დავით სერგეენკოსთვის სადეპუტატო მანდატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე, პარლამენტი, რეგლამენტის თანახმად, სექტემბერში იმსჯელებს.

– მე მინდა მას კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის, იმ სამუშაოსთვის, რაც ჩვენს გუნდთან ერთად გასწია წლების განმავლობაში. როგორც ჩანს, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკიდან გავიდეს და სხვა სფეროში საქმიანობა განაგრძოს. ეს საკითხი განიხილება სწორედ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტში.

თუ ხედავთ, ის მართლაც აღარ მონაწილეობს ბოლო თვეების განმავლობაში საპარლამენტო მუშაობაში, შესაბამისად, პარლამენტი, რეგლამენტის თანახმად, სექტემბერში იმსჯელებს ამ საკითხზე. ჩვენ მასთან გვექნება კონსულტაცია და მოვისმენთ მის გადაწყვეტილებას და ამის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას პარლამენტში, – განაცხადა თალაკვაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იულისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაფაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სერგეენკო და ყიფიანი ივანიშვილის ახლო გარემოცვაა“

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძეს ურჩევნია, თავის თავს მიხედოს, პარტიაში ხუთი კაცი არ ჰყავს, ვინც გულწრფელად მხარს დაუჭერს

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარალმენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, 2024 წლის საპარალმენტო არჩევნებზე რა ფორმატით შეიძლება ოპოზიცია წარსდგეს, რამდენად არის შესაძლებელი ერთობის მიღწევა?

– ვერ გეტყვით რას იზამენ დანარჩენი პარტიები, მაგრამ ჩვენს პარტიას აქვს თავისი გზა და თავისი გეგმა. ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ნაციონალური მოძრაობის პრემიერობის კანდიდატი გიორგი ვაშაძე იყოს.

– ყველა ეს პარტია ნაციონალური მოძრაობის დანაყოფია. ერთ დროს ერთად იყვნენ, ახლაც ერთად შეიძლება იყვნენ და არიან კიდეც, მაგრამ მერე რა, რას მოუტანს ეს ნაციონალებს, ან ხალხს რას მოუტანს?! ეს არის მთავარი კითხვა. არც არაფერს. როდესაც ხედვა არ გაქვს, მაშინ ცდილობ იქ დაბრუნდე, სადაც იყავი.

ნაციონალური მოძრაობა, მისი დანაყოფები „ოცნებასთან“ არიან დაკავშირებულები. ერთმანეთით არსებობენ და ერთმანეთით იხანგრძლივებენ პოლიტიკურ სიცოცხლეს, რაც ქვეყნისთვის დამღუპველია. არცერთია ამ ქვეყნის მომავალი და არც – მეორე. ორივე ერთად ამ ქვეყნის წარსულია. არცერთი უნდა ხალხს და არც – მეორე. ეს ჩანს მიტაცებულ ძალაუფლებაში.

რაც შეეხება ვაშაძის პრემიერობას თუ მის კანდიდატობას – სასაცილოა. ამაზე სერიოზულად საუბარიც კი არ ღირს, რადგან ხალხს ვერავინ მოატყუებს.

სიმართლე გითხრათ, რა კონფიგურაციითაც არ უნდა გავიდეს ეს ოპოზიცია ამ არჩევნებზე, არავითარი შედეგი არ იქნება. ამას ხალხისთვის, ამ ქვეყნისთვის არანაირი შედეგი მოჰყვება.

– რატომ?

– ეს ხალხი საკუთარი თავის დაბინავებაზე ფიქრობს და არა ამ ქვეყნის მოწყობასა და უკეთეს მომავალზე. როდესაც ასეთი პარალმენტი გყავს და როდესაც ასეთია ოპოზიცია პარლამენტში, იქ არ შეიძლება ქვეყნის უკეთეს მომავალზე იყოს ლაპარაკი.

ამ ქვეყანას რეალური ოპოზიცია სჭირდება, რომელიც რეალურ ცვლილებებზე იფიქრებს და მას ცხოვრებაშიც გაატარებს. ეს ხელსიუფლება და ეს ოპოზიცია ცვლილებებს ვერ მოიტანს. ცვლილებების გარეშე კი ამ ქვეყანას მომავალი არ აქვს. ცხადია, კარგ, საუკეთესო მომავლს ვგულისხმობ და არა უბრალოდ არსებობას.

– რას ელოდებით 2024 წლის არჩევნებიდან?

– იმას, რომ ხალხი ბრძენია და ბრძნულ არჩევანს გააკეთებს. ნამდვილად მოხდება ცვლილებები ამ ქვეყნისა და ამ ხალხის უკეთესი მომავლისთვის. ამაში დარწმუნებული ვარ. არ შეიძლება, ასე გაგრძელდეს. უკვე ვეღარ გაგრძელდება. უკეთესობისკენ ცვლილებები ნამდვილად იქნება.

– „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზეც მინდა გკითხოთ. დავით სერგეენკო პარლამენტს ტოვებს თუ ატოვებინებენ. კობახიძემ თქვა, გაცდენები დაუგროვდაო.

– კობახიძეს ურჩევნია, თავის თავს მიხედოს. პარტიაში ხუთი კაცი არ ჰყავს, ვინც გულწრფელად მხარს დაუჭერს. 2012 წელს სერგეენკო პარტიაში იყო და იმ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეჰქონდა. კობახიძე სად იყო?! სააკაშვილთან ხომ არ იყო ან კონსტიტუციის ახალი მოდელის დაწერაში ხომ არ ეხმარებოდა, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინა?!

კობახიძე დღეს „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარე რომ არის, ეს 2012 წლის გამარჯვების შეურაცხყოფაა.

– ვინ უნდა იყოს?

– ირაკლი ღარიბაშვილი უნდა იყოს, ის იმსახურებს პარტიის თავმჯდომარეობას და პარტიაშიც ბევრად უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს, ვიდრე კობახიძეს.

რაც შეეხება დავით სერგეენკოს, მის არც პარლამენტარობას, არც მინისტრობას არავინ ეკითხება ირაკლი კობახიძეს. სერგეენკო, ყიფიანი ეს ივანიშვილის ახლო გარემოცვაა. ამ ხალხს ივანიშვილთან შუამავლები არ სჭირდება. ივანიშვილი ახალ, პროდასავლურ გუნდს ქმნის. ეს ხალხი იმ გუნდში შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

– ახალი გუნდის შესახებ ინფორმაცია გაქვთ, თუ ვარაუდობთ?

– კონტურები იკვეთება. ასეთი ახალი, პროდასავლური გუნდი, რომელიც რუსეთისა და რუსული კანონის წინააღმდეგია, ივანიშვილს პოლიტიკურად სჭირდება და სავარაუდოდ, შექმნის კიდეც.

ანა ფოტიგა: „ევროპა არის საქართველოსთვის ადგილი, სადაც უნდა იყოს“

– ჩვენ ვართ მეგობრები, ჩვენ ვართ საქართველოსა და ქართველების მეგობრები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ევროპა არის საქართველოსთვის ის ადგილი, სადაც უნდა იყოს, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა, ანა ფოტიგამ ევროპარლამენტში „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ, ნიკა გვარამიასთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ფოტიგას შეფასებით, ის ბრალდებები, რომელიც ნიკა გვარამიას ჰქონდა წაყენებული, პოლიტიკური ხასიათის იყო.

ევროპარლამენტარმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხში გადამწყვეტი იქნება ქართველი ხალხის ნება.

– ძალიან მიხარია, რომ შეგვიძლია ნიკას მივესალმოთ ევროპარლამენტში. ის ბრალდებები, რაც წაყენებული ჰქონდა, ნამდვილად იყო პოლიტიკური ხასიათის. ბევრ დოკუმენტში, რომელიც ევროპულმა პარლამენტმა მიიღო, ნახსენები იყო ნიკას საქმე, რომელსაც ევროპული პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნიკა თავის საქმიანობას გააგრძელებს. კარგია, რომ ის დღეს ჩვენ გვერდით დგას. ჩვენ ვართ მეგობრები, ჩვენ ვართ საქართველოსა და ქართველების მეგობრები. ჩვენ ვიქრობთ, რომ ევროპა არის საქართველოსთვის ის ადგილი, სადაც უნდა იყოს. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ხალხის ნება გადამწყვეტი იქნება ამ საკითხის გადაწყვეტაში, – განაცხადა ფოტიგამ.

ევროპარლამენტარმა ასევე ისაუბრა მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და იმედი გამოთქვა, რომ მესამე პრეზიდენტის მდგომარეობა გაუმჯობესდება.

– მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაც ძალიან გვადარდებს. ვიცით, რომ დღეს პოლონელმა ექიმებმა მოინახულეს. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება ერთ-ერთი მიზეზი, რომ სააკაშვილი სამკურნალოდ გადაიყვანონ სათანადო ადგილას, – განაცხადა ანა ფოტიგამ, რომლის განცხადების თარგმანი „მთავარ არხს“ ეკუთვნის.

როგორც ფოტიგამ განაცხადა, საქართველოს დემოკრატიული გზით წინსვლაში უნდა დაეხმარონ.

– ჩვენ, ვინც საგარეო საკითხებით ვართ დაკავებული, ჩვენი წყაროები გვყავს, ჩემი კომენტარი იქნება, რომ ღარიბაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ისეთი ნარატივით ისაუბრა უსაფრთხოების კონფერენციაზე, როცა უკრაინაში ომის დაწყება ნატო-ს დააბრალა და ვიცით, რომ მას და საქართველოს პრეზიდენტს დაძაბული ურთიერთობა აქვთ. მე არ მინდა, რომ გავაკრიტიკო მედია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, რომ პრემიერ-მინისტრი არ იყო დაპატიჟებული (ვილნიუსის სამიტზე), არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მომავალზე ეს გავლენას იქონიებს. ვფიქრობთ, რომ საქართველოს საკითხის განხილვა უნდა გაგრძელდეს და საქართველოს არ უნდა გადაეჭრას გზა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. უნდა დავინახოთ საქართველოს ზოგადი პროგრესი და ამ 12 მოთხოვნის შესრულებაში პროგრესი. ვფიქრობთ, რომ საქართველოს უნდა დავეხმაროთ, გააგრძელოს წინსვლა, ოღონდ დემოკრატიული გზით, – განაცხადა ფოტიგამ.

პოლონეთში კოსმეტიკის ქურდობის ბრალდებით ქართველი დააკავეს

პოლონეთში კოსმეტიკის ქურდობის ბრალდებით 41 წლის ქართველი კაცი დააკავეს.

ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, მოპარული ნივთების ღირებულებამ 10.000 ზლოტი შეადგინა.

ჩადენილი დანაშაული 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– Mokotyw-ის ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში დაცვის თანამშრომლებმა დააკავეს მამაკაცი, რომელიც ცდილობდა, კოსმეტიკის მაღაზია საფასურის გადახდის გარეშე დაეტოვებინა, – წერს ადგილობრივი პრესა.

პოდოლიაკი: „ევროპის მომავალი და უსაფრთხოება ჩვენს ხელშია“

– ვილნიუსის მთავარი დასკვნებია: იქნება იარაღი, იქნება მხარდაჭერა, იქნება სუვერენული და დამოუკიდებელი უკრაინა. ერთ დღეს უკრაინა აუცილებლად შეუერთდება NATO-ს. მანამდე კი გვახსოვდეს: ჩვენი სიცოცხლე და უსაფრთხოება მხოლოდ ჩვენს ხელშია. მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს, მაგრამ ასევე ვახსენებთ, რომ ევროპის მომავალი და უსაფრთხოება ასევე ჩვენს ხელშია. დღეს კი ეს ხელები იარაღის გამუდმებული ტარებით, საშინელი სისხლიანი ნაიარევებით არის დაფარული... – წერს უკრაინის პრეზიდენტის ოფისის უფროსის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი ვილნიუსში მიმდინარე NATO-ს სამიტთან დაკავშირებით.

რატომ შევიდა აუდიტის სამსახური შსს-ში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შსს-ს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტში შევიდა. ფაქტს პირად დევნას უკავშირებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი გოგა რაზმაძე.

– გოგა რაზმაძის განცხადება არის სრული ტყუილი, აბსურდი და არანაირ მტკიცებულებას არ ეფუძნება, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ შსს-ს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის თანამშრომლის ბრალდებებთან დაკავშირებით განაცხადა.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტში, რომელიც 5 წელია სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს, აუდიტი ტარდება.

დარახველიძის თქმით, გოგა რაზმაძე აღმოჩნდა ერთადერთი თანამშრომელი, რომელსაც ამ პროცესმა დისკომფორტი შეუქმნა.

– მინდა საზოგადოებას ვუთხრა, რომ ადამიანის უფლებების დეპარტამენტი 5 წელია, რაც შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და ჩვენ მივიღეთ არაერთი რეკომენდაცია საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, როგორიც არის გაერო, ევროკავშირი და ა.შ. რომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ დეპარტამენტის გაძლიერების მიმართულებით. იმისთვის, რომ შეგვეფასებინა არსებული მდგომარეობა, სად არის ძლიერი და სუსტი მხარეები, ვთხოვეთ აუდიტის დეპარტამენტს, შეესწავლა ფუნქციური დატვირთვა, ეფექტიანობა ამ დეპარტამენტის და სწორედ ამის შემდეგ დაგვეგეგმა შემდეგი ნაბიჯები. ამის შესახებ მე პირადად დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს ვესაუბრე, მათ შორის, აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლები შეხვდნენ მენეჯმენტს და აუხსნეს მეთოდოლოგია და ის ძირითადი საკითხები, თუ როგორ ჩატარდებოდა აუდიტი. მხოლოდ გოგა რაზმაძე აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ეს პროცესი დისკომფორტს უქმნის და ცოტა გაუგებარია ჩემთვის, თუ მუშაობ, თუ ყველაფერს კარგად აკეთებ, რა პრობლემაა, რომ ეს ყველაფერი კვალიფიციურმა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომუშავე დეპარტამენტმა შეაფასოს და პირიქით, გამოჩნდეს, ვინ აკეთებს საქმეს, სად არის პრობლემა, სად არის გამოსავალი.

სამწუხაროდ, მე ვერ ამოვიკითხე რაში გამოიხატა პრობლემები. დეპარტამენტი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს, ყველა თანამშრომელი აგრძელებს იმ საქმეების მონიტორინგს, რაც მათ დებულებით ევალებათ. ყველა შეხვედრაში მონაწილეობს თითოეული თანამშრომელი, სადაც კი ამ დეპარტამენტის მანდატია და არანაირი კონკრეტული ფაქტი იმის შესახებ, რომ რამე ზეწოლას ან შევიწროებას ჰქონდა ადგილი, გარდა გოგა რაზმაძის ზოგადი განცხადებებისა, ჩვენ არ მოგვისმენია. როგორც მე ამოვიკითხე მის პოსტში, მას მიუმართავს სახალხო დამცველისთვის და დაველოდოთ შესწავლის შედეგებს, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ცნობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი გოგა რაზმაძე აცხადებს, რომ მის მიმართ „დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპყრობა ხორციელდება“.

ბათუმში ბინების გაყიდვები შემცირდა, ფასები კი გაიზარდა



2023 წლის მაისში ბათუმში საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციების რაოდენობა, გასული წლის მაისთან შედარებით, 8%-ით, 1.361 ერთეულამდე შემცირდა, ბაზრის ზომა კი 3%-ით 63 მილიონ აშშ დოლარამდე არის გაზრდილი. ამის შესახებ „ქოლიერსის“ კვლევაშია აღნიშნული.

– ბათუმში 2023 წლის მაისში ახალაშენებული ბინების ტრანზაქციების რაოდენობა 8%-ით შემცირდა, ძველი ბინების შემთხვევაში კი 6%-იანი კლება დაფიქსირდა. ბათუმში 2023 წლის მაისში მოთხოვნა ახალაშენებულ პრემიუმ სეგმენტის ბინებზე 25%-ით გაიზარდა, ეკონომ და მედიუმ სეგმენტებში კი ტრანზაქციების რაოდენობის 18% და 13%-იანი კლება დაფიქსირდა. ბათუმში 2023 წლის მაისში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი ფასი 14%-ით გაიზარდა და კვ.მ-ზე 919 აშშ დოლარი შეადგინა. ძველი ბინების შემთხვევაში კი მაჩვენებელი 13%-ით, 734 აშშ დოლარამდე გაიზარდა, – აღნიშნულია კვლევაში.

2023, 13 ივლისი, №136

ნატოს სამიტის წინ რუსებს ბელარუსიდან რული მობილიზებულები გააყვანინეს

რა დაასკვნეს დასავლეთში რუსეთში ამბოხების მცდელობის შემდეგ?

მარიამ მჭედლიშვილი

ვილნიუსში 11-12 ივლისს გამართული ნატოს სამიტი კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. საქართველოს ამ სამიტზე დაპირებები არ მიუღია, უკრაინაშიც სამიტისგან მეტს მოელოდნენ. მიუხედავად ამისა, ამ სამიტზე დამტკიცდა, რომ დასავლეთის პოზიცია რუსეთის მიმართ მკაცრია, რუსეთი კი დღითიდღე უძლურდება.

როგორც ირკვევა, სამიტის წინ პუტინი და ლუკაშენკო იძულებულები გახდნენ, შეესრულებინათ დასავლეთის მოთხოვნები. ამაზე ბელარუსის თავისუფალ მედიასთან საუბრობს ბელარუსი ოპოზიციონერი, სამოქალაქო კამპანია „ევროპული ბელარუსის“ კოორდინატორი, **დიმიტრი ბონდარენკო**. ის ეხება ასევე „ვაგნერის“ დამფუძნებლის, რუსეთის მეამბოხე ევგენი პრიგოჟინისა და ბელარუსის არაღიარებული პრეზიდენტის ლუკაშენკოს ურთიერთობებს.

– თქვენ საუბრობდით იმაზე, რომ ლუკაშენკო გარეულია პრიგოჟინის ამბოხებაში. მაშინ რატომ არ ჩქარობს კერძო კომპანია „ვაგნერის“ მეთაური (ის ბელარუსიდან რუსეთში დაბრუნდა) თავის ამფსონთან ბელარუსში?

– იმიტომ, რომ მან (ლუკაშენკომ) ის მოატყუა. პრიგოჟინსა და ლუკაშენკოს გეგმაში შედიოდა ბელარუსის სპეცრაზმის მოსკოვში გადასროლა პუტჩის მხარდასაჭერად. მანამდე პუტჩისტებს უნდა მიერთებოდა რამდენიმე ბრიგადა და დივიზია. ეს ვერ განხორციელდა.

ამჟამად ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ არავის არავისი სჯერა, ხოლო „კოლექტიურ პუტინს“ არ შესწევს ძალა მოერიოს მოღალატეებს.

– რუსეთში დააკავეს გენერალი სუროვიკინი, რომელსაც „ვაგნერთან“ აკავშირებენ. იმავდროულად, პრიგოჟინს დაუბრუნეს დაყადაღებული ქონება და ის მშვიდად გადაადგილდება ქვეყანაში. საბოლოოდ ვინ მოიგო რუსეთის ფედერაციაში ამბოხის შედეგად?

– სუროვიკინი უბრალოდ სამხედროა. ის დააკავეს, ლუკაშენკომ და პრიგოჟინმა კი ძალიან ბევრი იციან. ბელარუსი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა კონტრაბანდულ ჰაბს კრემლის დაჯგუფებებისთვის. კერძოდ, იაფი ნავთობი რუსეთიდან შემოდიოდა ბელარუსში, გადამუშავდებოდა, ნავთოპროდუქტები მიეყიდებოდა რუსეთის „შვილობილებს“ როტერდამსა და ბირმინჰემში, რომლებიც დასავლურ ფირმებად საღდებოდა. მოგებული ფული ხმარდებოდა კონკრეტული ადამიანების გამდიდრებას. ლუკაშენკო წილში იყო.

– ბელარუსში მოხდა რუსეთის მობილიზებულთა ბანაკების ლიკვიდაცია. რასთან არის ეს დაკავშირებული?

– პირველ რიგში, ვილნიუსის ნატოს სამიტთან. მინდა შეგახსენოთ, რომ ვილნიუსიდან მინსკამდე 200 კილომეტრია, ბელარუსის საზღვრამდე – 40 კილომეტრი. სამიტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბალტიის ზღვაში შევიდა ათობით ახალი გემი. ბელარუსის ტერიტორიაზე ნატო ყველა ბუჩქს ხედავდა. თავისი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა გადმოსწია გერმანიამ. პოლონეთმა რეგიონში გამოგზავნა რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე. ნატოს სწრაფი რეაგირების ასეულობით ათასი ჯარისკაცი საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა.

ლუკაშენკო გააფრთხილეს. უთხრეს, რომ მისთვის შეიძლება ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდეს, რომ შეიძლება დარტყმები მიადგეს ბელარუსის გადაწყვეტილების მიღების ცენტრებსა და ძალოვან სტრუქტურებს.

ამიტომ ლუკაშენკომ მოახდინა მობილიზებულთა ბანაკების ლიკვიდაცია და გაიძახოდა, ჟენია (ევგენი პრიგოჟინი) აქ არ არის, არც მოვა, „ვაგნერელები“ არ იქნებიანო. სამიტის წინ რუსეთის ჯარები ეშელონებით გაჰყავდათ ბელარუსიდან.

– სამიტის მნიშვნელობას როგორ აფასებთ?

– აშშ-მ და ნატომ აჩვენეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონი საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის. ეს არის სიგნალი ბელარუსის დიქტატორისა და პუტინისათვის იმის თაობაზე, რომ ნატო აქ მყარად დგას.

პუტინმა უკრაინაში ომის გაჩაღებით გააუარესა საკუთარი მდგომარეობა. მან ბალტიის ზღვა გადააქცია ნატოს შიდა ტბად.

იენს სტოლტენბერგის თანამდებობაზე კიდევ ერთი წლით დატოვებაც იმის მკაფიო სიგნალია, რომ „სტოლტენბერგის ხაზი“ აგრესორებისადმი მტკიცე წინააღმდეგობა გაგრძელდება. პუტინსაც შეუთავლეს, არ გაბედოს პროვოკაციები უკრაინაში, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ომი და გაიყვანოს თავისი ჯარები უკრაინიდან.

– „ფაინენშელ თაიმსის“ ინფორმაციით, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გააფრთხილეს პუტინი, რომ თუ ის უკრაინაში გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, მას დარტყმით უპასუხებენ. ახლაც გააფრთხილებდნენ კრემლს, რომ ნატოს საზღვრებთან თავისი დაქირავებულები არ უნდა ჰყოლოდა? დასავლეთი რუსეთს მუდმივად ძალის პოზიციებიდან დაელაპარაკება?

– ყველაზე ადეკვატური პოლიტიკოსები დასავლეთში სამხედროები არიან. ისინი ეყრდნობიან ფაქტებს და მოწინააღმდეგის ძალის შეფასებას.

ნატოს გენერლებისა და ადმირლების ხმა სულ უფრო მძლავრად ისმის. ამიტომ ნატოს, ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკოსები უფრო მტკიცე და მკაფიო პოზიციას იკავებენ.

პრიგოჟინის ამბოხის შემდეგ დასავლეთში სამი რამ შეიგნეს.

პირველი – რუსეთი ძალიან სუსტია; მეორე – რუსეთში არიან ომის შეწყვეტის მომხრე ძალები; მესამე – დასავლეთმა მიანდა რუსეთის ხელმძღვანელობის ნაწილს გზავნილი იმის შესახებ, მზადაა წავიდეს მოლაპარაკებებზე ამ კრიზისის დასაძლევად.

პრეზიდენტ ზელენსკის განცხადება

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ მადლობა გადაუხადა ნატოს წევრ ქვეყნებს მხადაჭერისათვის. ამავე დროს, მან გამოთქვა იმედი, რომ ვილნიუსის სამიტის საბოლოო კომუნიკეში იქნება პუქტი, რომელშიც ნათქვამი იქნება, თუ როდის მიიღებენ უკრაინას ნატოში.

უკრაინის პრეზიდენტმა სიტყვა ხალხმრავალ მოედანზე წარმოთქვა. აქ საგანგებოდ აღმართეს უკრაინული დროშა, რომელიც ბახმუტიდან ჩამოიტანეს. რუსები იკვეხნიდნენ, ბახმუტი ავიღეთო. ეროვნული დროშა კი ქალაქზე ფრიალებდა. რუსებმა მისი ჩამოღება ვერაფრით შეძლეს.

ნატოს სამიტის დაწყებასთან ერთად უკრაინაში ვითარება დაიძაბა. დიქტატორმა პუტინმა თავის ჯარს მოკლე, ლაკონიური დირექტივა მისცა: ნატოს სამიტის დაწყებისათვის უნდა დაკავებულ იქნას ავდეევკა, ლიმანი და მიღწეულ იქნას გარდატეხა დონბასში, ზაპოროჟიეში და ხერსონსჩინაზე.

რუსი ჯარისკაცები დიქტატორის ნების შესრულებას გულმოდგინედ ცდილობდნენ. მიუხედავად ამისა, მათ ვერ შეძლეს ვერც ავდეევკის, ვერც მარინკის დაკავება.

რუსებისათვის ბახმუტში შავი დღეები გათენდა. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის პოლკოვნიკ ჩერევატის ცნობით, ბახმუტის გარშემო ყველა სიმაღლე უკვე უკრაინელთა ხელშია. ქალაქი ახლა უკრაინული არმიის ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშაა. აქ მყოფ რუს ჯარისკაცებს შორის დიდი მსხვერპლია. პუტინის ბრძანებით, ბახმუტში კადიროველთა სპეცნაზი „ახმატი“ გადაისროლეს. ამან საქმეს ვერ უშველა. კიდაროველთა სპეცნაზი პრაქტიკულად განადგურებულია.

უკრაინელებმა წარატებითი ოპერაციები ჩაატარეს სოლედართანაც. შედეგად, სოლედარის მახლობლად უკრაინულმა არმიამ პოზიციები გაიმყარა.

უკრაინელებმა წარმატებული ოპერაციები ჩაატარეს აგრეთვე ზაპოროჟიეს ოლქში, კერძოდ, ქალაქ გულიაი პოლესთან (ლეგენდარული პარტიზანის ნესტორ მახნოს სამშობლო). ზაპოროჟიეს ოლქში უკრაინულმა არმიამ კიდევ 20 კმ-ით წაიწია წინ.

რაც შეეხება ხერსონსჩინას, აქ დნეპრის მარცხენა ნაპირზე უკრაინელი მეომრები მტკიცედ მომაგრდნენ. ოკუპანტების ყველა მცდელობა, განედევნათ ისინი იქედან, მარცხით დასრულდა. რუსებმა უდიდესი ზარალი განიცადეს.

პარალელურად გრელდება პარტიზანული აქციები. აფეთქებათა სერია არ წყდება მარიუპოლში, ბერდიანსკში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში. ოკუპანტებმა ამას თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს.

რატომ ვერ იბარებენ წისქვილები ფერმერებისგან ქართულ ხორბალს 70 თეთრად

ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია წისქვილკომბინატების მიერ ივნისში ქართული ხორბლის ჩაბარებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ წელს ბაზარზე განვითარებული პროცესები არაერთგვაროვანია და წისქვილებს ახალ მოსავალთან ერთად, ძველი დაბალი ხარისხის ხორბლის ჩაბარებაც უწევთ.

გარდა ამისა, ასოციაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს გასული წლის გამოცდილებიდან გამომდინარე მეხორბლე ფერმერები მოსავლის რეალიზებას ახლავე ცდილობენ და მარცვლეულს არ ასაწყობენ, როგორც ეს ტრადიციულად წინა წლებში ხდებოდა ხოლმე, რაც წარმოებაზე გარკვეულ წნეხს ქმნის.

– როგორც ცნობილია, 2023 წლის 12 ივნისიდან საქართველოში იმპორტირებულ ფქვილთან მიმართებაში მოქმედებს დროებითი მოსაკრებელი 5 თვით, რომლის მიზანია ხორბლისა და ფქვილის აქამდე არსებული არათანაბარი საიმპორტო პირობების გათანაბრება.

დროებითი მოსაკრებლის შემოღებიდან და ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე პირობების გათანაბრებიდან გავიდა 1 თვე, აქედან გამომდინარე, ასოციაცია ვალდებულად თვლის, საზოგადოებას გააცნოს პროცესის მიმდინარეობა და არსებული გამოწვევები.



წლევანდელ წელს ბაზარზე განვითარებული პროცესები არ არის ერთგვაროვანი, რადგან წელს ქართველ ფერმერებს დარჩენილი ჰქონდათ სარეალიზაციოდ შარშანდელი ხორბლის მოსავალი. საქართველოში ახლაც მიმდინარეობს ხორბლის მოსავლის აღების პროცესი.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ივნისის დასაწყისიდან საქართველოს წისქვილკომბინატების მიერ მიღებულია 20.000 ტონა როგორც ძველი, ასევე ახალი მოსავლის ქართული ხორბალი, რაც ისტორიულად წლების განმავლობაში ივნისის თვეში მიღებული ხორბლის რაოდენობის მრავალწლიან ნორმაზე მეტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლის საკმაოდ დიდი პროცენტი, მათ შორის მარცვლეულის მწარმოებელთა წინასწარი ინფორმაციით, სხვადასხვა არსებული არასახარბიელო პირობებიდან გამომდინარე, არის საფურაჟე (ანუ არასასურსათო), შესაბამისად, წისქვილკომბინატები სამწუხაროდ, ამ ხორბალს ვერ ჩაიბარებენ.

გამოწვევაა ისიც რომ წელს, ხორბლის რეალიზაციის წლობით ჩამოყალიბებული ტენდენცია შეიცვალა, კერძოდ, თუ წლების განმავლობაში მოსავლის აღების დასაწყისში, ფერმერები მხოლოდ აუცილებელი ხარჯების დასაფარად, პირველ ეტაპზე შეზღუდული რაოდენობის ხორბალს ყიდდნენ, მოსავლის დაახლოებით 10 -15%-ს, ხოლო დანარჩენი ნაწილი საწყობდებოდა ზამთრის თვეებში, უფრო მაღალი ფასით რეალიზაციის მიზნით, წელს ბაზრის ტენდენციებიდან გამომდინარე, ფერმერების უმეტესობა მაქსიმალურად ცდილობს, უახლოეს პერიოდში ჩააბარონ ხორბალი.

– ყოველივე ზემოთ აღნიშნული, მაქსიმალურ წნეხს ქმნის წისქვილებზე დიდი რაოდენობის ხორბლის დროის მოკლე მონაკვეთში მიღების მხრივ, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან გასულია ერთი თვე, წისქვილკომბინატები სრული სიმძლავრეებით ვერ მუშაობენ, რადგან ჯერ კიდევ დიდია წინა თვეებში აგრესიულად შემოსული დიდი რაოდენობის იმპორტირებული ფქვილის გავლენა, როგორც ფქვილის რეალიზაციის პროცესზე, ასევე ფასზე, – განმარტავენ ასოციაციაში.

ასოციაცია, ასევე განმარტავს, თუ რატომ ვერ ხერხდება ფერმერებისგან ქართული ხორბლის 70 თეთრად ჩაბარება და რა ფაქტორები მოქმედებს შექმნილ ვითარებაზე.

– გვინდა შევახსენოთ საზოგადოებას, ის პარამეტრები, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს შუამდგომლობით სამი ინდუსტრიის – პურის მწარმოებლების, წისქვილკომბინატების და მარცვლეულის მწარმოებლების კონსულტაციების შედეგად პურის ფასის შენარჩუნების, ასევე ქართული ხორბლის ჩაბარების მიზნით დადგინდა: 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის საორიენტაციო ფასი 52 ლარის ფარგლებში, რაზეც მიება წისქვილების მიერ ქართული ხორბლის შესყიდვის ფასი 70 თეთრი 1 კილოგრამზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე წისქვილკომბინატების მიერ 70 თეთრად შესყიდული იქნა ძველი მოსავლის ქართული ხორბალი, თუმცა დღევანდელ ეტაპზე ამას ჯერ კიდევ ვერ მიყვა კონსულტაციების შედეგად განსაზღვრული ფქვილის სარეალიზაციო ფასი – 52 ლარი (1 ტომარა ფქვილი). დღეს პურის ქარხნების მიერ ბაზარზე ფქვილის ფასი 47 ლარის ნიშნულზეა დაფიქსირებული, რამაც ავტომატურად გამოიწვია წისქვილკომბინატების მიერ შესასყიდი ხორბლის ფასის კორექტირება 65 თეთრის ფარგლებში (საბაზისო მე 3 კლასის ხორბალი), გამომდინარე იქედან, რომ წისქვილკომბინატების მიერ ქართული ხორბლის შესასყიდ ფასს პირდაპირ განსაზღვრავს პურის მწარმოებლების მიერ პირველი ხარისხის ფქვილის შესასყიდი ფასი.

დღეს ხორბლისა და ფქვილის ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, როგორც წისქვილკომბინატების და ფერმერების, ასევე პურის მწარმოებლების მიერ დათქმული პარამეტრების შესრულება.

საქართველოს წისქვილკომბინატები კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენზე აღებული ვალდებულებების უპირობო შესრულებას, აგრეთვე ბაზარზე გამოწვევების შესაბამისად, მზაობას ვაცხადებთ მუდმივ კომუნიკაციაში ვიყოთ დაინტერესებულ მხარესთან ნებისმიერი საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, – აცხადებენ ასოციაციაში.

შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წისქვილკომბინატებში ხორბლის ჩაბარების პროცესი აქტიურ ფაზაშია და შეუფერხებლად მიმდინარეობს. მეხორბლე ფერმერებისგან ხორბალს 20-მდე წისქვილკომბინატი იბარებს.

პარალელურად ხორბლის მწარმოებლები აცხადებენ, რომ ფასი თვითღირებულების ნახევარი, 40 თეთრია და მორიგ აქციას აანონსებენ. ასოციაციის ცნობით, მარცვლეულის რეალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით, აქცია 14 ივლისს, წნორში გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარწახსა და სარფში დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი გამოვლინდა



ბოლო ერთი თვის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „კარწახი“ და „სარფი“, დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში – 18.000 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს, ფულადი ჯარიმა, 1.000 ლარის ოდენობით შეეფარდათ, ხოლო საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 5 კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ჩამოერთვა საქონელი და ვინაიდან ქმედება იყო განმეორებითი, თითოეულს, ფულადი ჯარიმა 3.000 ლარის ოდენობით შეეფარდა.

ბათუმში, 13 წლის შვილის გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს

ბათუმში, 13 წლის შვილის გაუპატიურების ბრალდებით მამა დააკავეს. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 137-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, ბრალდებული წარსულში ნასამართლევია.

ნაფიცმა მსაჯულებმა შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნეს

ნაფიცმა მსაჯულებმა შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნეს.

როგორც გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ ბრალდებული და დაზარალებული ერთ სამშენებლო ობიექტზე მუშაობდნენ. 2022 წლის 30 ოქტომბერს მათ სხვა მუშებთან ერთად ალკოჰოლური სასმელი დალიეს, რა დროსაც იჩხუბეს. კონფლიქტი ბრალდებულის სახლთან გაგრძელდა, სადაც მან დაზარალებულს დანით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

ბრალდების მხარემ, სასამართლო პროცესზე წარადგინა დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას მოწმობდა. ნაფიცი მსაჯულები, საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების დეტალურად შესწავლის შემდეგ, დარწმუნდნენ პროკურატურის პოზიციის მართებულობაში და ბრალდებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დამნაშავედ ცნეს. სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ახმეტაში 15 წლის მოზარდი პოლიციელებს ძალადობაში ადანაშაულებს

ახმეტაში 15 წლის მოზარდი პოლიციელებს ძალადობაში ადანაშაულებს?. მისი დედა კი ამბობს, რომ მის შვილს დაზიანებები ყელისა და ფეხის არეში აქვს მიყენებული.

როგორც მოზარდი „რადიო თავისუფლებას“ უყვება, შემთხვევა 11 ივლისს, ღამით, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

მოზარდის თქმით, 15-მდე მეგობარი სეირნობდა, როდესაც მათთან პოლიციის 3 ჯგუფი მივიდა და ერთ-ერთი მეგობრის დაკავება დაიწყო. არასრულწლოვანმა პოლიციელებს მეგობრის დაკავების მიზეზი ჰკითხა, რის გამოც პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– ჩემი ძმაკაცი რომ დააკავეს, მე ვიკითხე, რის საფუძველზე აკავებდნენ. პასუხი არ გამცეს... შემდეგ დამეჭიდნენ მაისურზე და რამდენჯერმე გამარტყეს. სამი ან ოთხი პოლიციელი მირტყამდა... ჯერ ცხვირში მომხვდა, ორი-სამი – სახეში და დანარჩენი – მუცლის არეში, – ამბობს მოზარდი „რადიო თავისუფლებასთან“.

არასრულწლოვანის თქმით, მომხდარის დაპირისპირების ამსახველი რამდენიმე ვიდეო არსებობს, რომელიც მისმა მეგობრებმა გადაიღეს.

არსებული ინფორმაციით, 15 წლის მოზარდზე პოლიციელების მხრიდან შესაძლო ძალადობის საქმის შესწავლა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს თქმით კი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობა) ერთი პირი დააკავეს.

შს მინისტრის მოადგილე წყნეთში 15 წლის ბიჭის გარდაცვალებაზე „ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს“

– საგამოძიებო უწყება გააკეთებს ყველაფერს, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს და სადაც გამოიკვეთება კონკრეტული პირების მხრიდან დაუდევრობა, გულგრილობა თუ განზრახ მოქმედება, რა თქმა უნდა, შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ წყნეთში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით განაცხადა, რა დროსაც დენის დარტყმის შედეგად 15 წლის ბიჭი გარდაიცვალა.

მისივე თქმით, საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

– ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა და ნამდვილად მძიმეა ჩვენთვისაც. მე ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას. რა თქმა უნდა, ჩვენი თითოეული დანაყოფი აქტიურად მუშაობს და იძიებს თითოეული იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხს, თუ ვინმეს გადაცდომამ ან დაუდევრობამ გამოიწვია ეს უბედური შემთხვევა. ჩვენ იმ წუთიდანვე დავიწყეთ გამოძიება. რა თქმა უნდა, მე გამიჭირდება ახლა კონკრეტული პირების ბრალეულობაზე ვისაუბრო, როდესაც მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო პროცესი, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

გიორგი ჩალაძე: „უცხოელმა ექიმებმა სააკაშვილთან შესვლა ბრიუსელსა და თბილისს შორის ინტენსიური და მაღალი დონის მოლაპარაკებების შედეგად შეძლო“

მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების შტაბის ხელმძღვანელის, გიორგი ჩალაძის განცხადებით, ბრიუსელსა და საქართველოს მთავრობას შორის ძალიან ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, კლინიკა „ვივამედში“ პოლონელი ექიმები შევიდნენ.

მისივე თქმით, სამედიცინო მისიის წარმომადგენლები საქართველოში დარჩებიან მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საკმარის მონაცემებს და ინფორმაციას არ მიიღებენ.

როგორც მან აღნიშნა, სამედიცინო მისიის შედეგები საჯარო არ იქნება.

– 27 თებერვალს, ბრიუსელში შეთანხმებული დემარშის იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემის შემდეგ, სამედიცინო მისია, ფაქტობრივად, 5 თვის დაგვიანებით საქართველოში ჩამოვიდა. ამ პროცესში ჩვენ არაერთხელ ვნახეთ ტყუილების კასკადები, რომლებიც გაჟღერებული იყო და თქვენ ნახეთ, ჩვენ როგორ დავიცავით კონფიდენციალური შეთანხმება, ვაცადეთ დიპლომატიას მუშაობა და დღეს ექიმები აქ არიან ისე, რომ არავინ იცოდა, აქ ჩამოსულები რომ იყვნენ და არავინ იცოდა, კლინიკა „ვივამედში“ როდის შევიდოდნენ. ჩვენ ეს პირობა დავიცავით. ვიზიტთან დაკავშირებულ დეტალებს კვლავ ვერ გავაჟღერებთ, იმიტომ, რომ ეს არის დიპლომატიური მოლაპარაკების საკითხი. ეს არის კონფიდენციალური, მხოლოდ რამდენიმე პირმა ვიცით ამის შესახებ და ეს ჩვენი მხრიდან არ გავრცელდება.

შემიძლია გითხრათ, რომ დღეს, დილიდან მოყოლებული ბრიუსელსა და საქართველოს მთავრობას შორის ძალიან ინტენსიური საუბრების, მოლაპარაკებებისა და დისკუსიების შემდეგ, ამ გადაწყვეტილების მიღება მოხდა. ეს საუბარი არ იყო მარტივი და დაბალ დონეზე არ მიმდინარეობდა, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გაიმართა ბრიუსელსა და თბილისს შორის. ამაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოდან ევროკავშირის წარმომადგენლობა და პოლონეთის საელჩო.

სამედიცინო მისია დაკომპლექტებულია სხვადასხვა პროფილის ექიმებით. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, უმაღლესი დონის, სპეციფიკური ცოდნისა და განათლების მქონე ექიმებით, რომლებიც აღჭურვილნი არიან ყველაფრით, რაც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლად სჭირდებათ. მისია გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ექიმები მათთვის საკმარის მონაცემებსა და ინფორმაციას არ მიიღებენ, რომელიც საჭიროა მისი ჯანმრთელობის სურათის სრულად დასანახად. სამედიცინო მისიის შედეგები საჯარო არ იქნება, – განაცხადა ჩალაძემ.

თეა წულუკიანმა სამსახურიდან კიდევ 2 ადამიანი გაათავისუფლა

კულტურის მინისტრის რეპრესიები გრძელდება – თეა წულუკიანმა სამსახურიდან კიდევ 2 ადამიანი გაათავისუფლა.

კინორეჟისორებს დავით დავითიანსა და ლევან აბდუშელიშვილს კინოცენტრიდან გათავისუფლების ბრძანება სულ რამდენიმე წუთის წინ მიუვიდათ.

– არ ვიცი, რა კომისია იყო და ამ კომისიამ მიიღო ჩემი შრომითი ხელშეკრულების გაუქმების გადაწყვეტილება. არავინ გამსაუბრებია. ის ადამიანები, ვინც ხმას არ იღებდნენ, დატოვეს. ეს არის შერჩევითი სამართალი. ცირკია უბრალოდ, სასაცილოა, რაც ხდება, – ამბობს აბდუშელიშვილი.

რაც შეეხება მეორე გათავისუფლებულ რეჟისორს, დავით დავითიანმა გათავისუფლების დოკუმენტი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

– მეც მიმაყოლეს და არა მარტო. ვინც დაგტოვეს, ისინიც თუ წამოხვალთ, იქნებ შეგროვდეს მელ გიბსონის ჩამოსაყვანად თანხები, – წერს დავით დავითიანი.

საერთაშორისო



უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა გრძელდება

ფრონტებზე განცდილმა მარცხმა და დანაკარგებმა ოკუპანტები გააბოროტა. მათ უკრაინის მიმართულებით 15 დრონი გაუშვეს. უკრაინელებმა აქედან 12 ჩამოაგდეს.

დაიბომბა კიევიც. აქ უკრაინელებმა ყველა დრონი ჩამოაგდეს. ამას რუსებმა თავისებური ახსნა მოუძებნეს:

– კიევს საგანგებოდ იცავენ!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა უკრაინის რეგიონებს სეპარატიზმისაკენ მოუწოდა.

სად გაქრა გენერალი სუროვიკინი?

როგორც ცნობილია, ვაგნერელთა პუტჩის შემდეგ ოდიოზური გენერალი სუროვიკინი საჯარო სივრციდან გაქრა. ბრიტანეთის დაზვერვის ცნობით, სუროვიკინი თანამდებობას ჩამოაშორეს. მის ადგილას დროებით სუროვიკინის მოადგილე მუშაობს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ვილნიუსში ნატოს სამიტი დაიწყო



ლიეტუვის დედაქალაქში ნატოს სამიტი დაიწყო. მას მთელი უკრაიანა გაფაციცებული ადევნებდა თვალს. სამიტზე უნდა გადაწყვეტილიყო უკრაინის ნატოში მიწვევის საკითხი, ანუ უკრაინა არ მიიღებდა მაპს, რაც ასეთ შემთხვევაში აუცილებელია და ნატოს წევრი ამის გარეშე გახდებოდა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ცივილიზაციათა ომია. ერთი მხრივაა რუსული ფსევდომართლმადიდებლური, ნახევრად კრიმინალური და მეორე მხრივ, თავისუფალი, დემოკრატიული სამყარო. სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსთის დიქტატორი არა იმდენად უკრაინას, არამედ მთელ დემოკრატიულ სამყაროს დაემუქრა.

პუტინის გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო კავშირი, რომელშიც გაერთიანდებოდნენ რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი. შემდგომში ამ კავშირს შეუერთდებოდნენ უნგრეთი და გერმანია (მას იმჟამად ანგელა მერკელი ედგა სათავეში). ამრიგად, ფაქტიურად, მთელი ევროპა რუსული გავლენის ქვეშ ექცეოდა.

უკრაინაზე პუტინმა მართლაც კბილები წაიმტვრია. დღეისათვის რუსეთი ბევრად სუსტია, ვიდრე თუნდაც ერთი წლის წინ იყო. ამას ხელი შეუწყო როგორც მარცხმა ბრძოლის ველზე, ისე პრიგოჟინის ამბოხმა. მეორე მხრივ, დასავლეთი ახალი დილემის წინაშე დადგა: რა ვუყოთ უკრაინას? ამ ქვეყანამ ხომ, ფაქტობრივად, მთელი ევროპა იხსნა რუსული ურდოებისაგან!

ამ ფორმულირებას წინ აღუდგნენ აშშ და გერმანია. მართლაც, ნატოს წესდება ითვალისწინებს, რომ თავდასხმა ალიანსის ერთ-ერთ წევრზე ნიშნავს თავდასხმას მთელს ალიანსზე. ნატოს ყველა წევრი კი ვალდებულია დაიცვას აგრესიის მსხვერპლი. უკრაინა რუსულ აგრესიას უკვე 2014 წლიდან უმკლავდება.

მიუხედავად ამისა, უკრაინული ფაქტორის იგნორირებაც არ შეიძლება. კიევს არ აკაყოფილებს ის ფუყე დეკლარაციები, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც ბუდაპეშტის მემორანდუმზე, ისე ნატოს ბუქარესტის სამიტზე. დღეს გადამჭრელი მოქმედების დრო დადგა. მით უმეტეს, რომ უკრაინელებმა ფრონტზე მორიგ წარმატებებს მიაღწიეს. განადგურებულია 640 რუსი ოკუპანტი. გათავისუფლებულია ახალ-ახალი ტერიტორიები. შესაბამისად, უკრაინამ უნდა მიიღოს ქმედითი გარანტიები და, რაც მთავარია, იარაღი. იარაღი ძალაა, ძალას კი გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს.

უკრაინას ნატოში მაპის გარეშე მიიღებენ!



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ უკრაინას ნატოში მაპის გარეშე მიიღებენ. ამას ნატოს წევრი ყველა ქვეყანა ეთანხმება.

– ეს არ ნიშნავს იმას, რომ უკრაინა უკვე დღეს ნატოს წევრი გახდება. ამ ქვეყანას კიდევ ბევრი სამუშაო აქვს საიმისოდ, რომ ნატოში შევიდეს. უკრაინის ალიანსში გაწევრაინება უახლოესი 2-3 წლის საქმეა, – სთქვა სტოლტენბერგმა.

უკრაინის პრეზიდესტი ზელენსკი დაესწრება ნატოს საბოლოო კომუნიკეს მიღების ცერემონიას, სადაც ყველაფერი იქნება დაფიქსირებული.

პოლონეთის პრეზიდენტი ვილნიუსის სამიტის პირველი დღის შედეგების შესახებ

პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ ნატოს სამიტის პირველი დღის მუშაობა უკრაიანასთან დაკავშირებით დადებითად შეაფასა.

– დადებითი ნიშანი სამიანს ნიშნავს! მე მსურდა, რომ უკრაინა უკვე ნატოს წევრი ყოფილიყო, – თქვა დუდამ.

პოლონეთის პრეზიდენტის აზრით, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში უკრაინა ნატოს წევრი გახდება.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპატების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკენი – 4.090; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.990; არტილერია – 4.402; ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები – 415; თვითმფრინავები – 315.

განადგურებულია – 237.350 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ნიანგი მამაკაცს პოპულარულ პარკში თავს დაესხა



ავსტრალიაში ნიანგი 67 წლის პენსიონერს პარკში თავს დაესხა და დაკბინა.

მტაცებელი რეპტილია მამაკაცს თავს ლიჩფილდის ეროვნულ პარკში ვანგის ჩანჩქერთან დაესხა, რომელიც საკმაოდ პოპულარულ დასასვენებელ ადგილად ითვლება ბუნების მოყვარულთა შორის. თავდასხმა ორშაბათს, 10 ივლისს, დაახლოებით 11:30 საათზე მოხდა. აღნიშნული შემთხვევის თვითმხილველი რამდენიმე იქ მყოფი დამსვენებელი გახდა, მათ შორის პოლიციის თანამშრომელი ტანეკა სტარი, რომელიც პირველი მიეხმარა ხანდაზმულ მამაკაცს და ჭრილობა დაუმუშავა.

– იქ ჩემი ბავშვები დაცურავდნენ, როდესაც ხალხმა ყვირილი ატეხა და ყველას წყლიდან ამოსვლისკენ მოუწოდებდნენ. ჩვენ ირგვლივ შემოვეხვიეთ იმ ადგილს, იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველამ დაუშავებლად ამოაღწია წყლიდან. შემდეგ კი შევნიშნეთ, რომ მამაკაცს ხელი ჰქონდა დაშავებული. მე დებთან ერთად აღმოვუჩინე დახმარება, – დაწერა მოგვიანებით სოციალურ ქსელში სტარმა.

მამაკაცმა დაზიანებები ხელსა და ზურგის არეში მიიღო და ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ჩრდილოეთ ავსტრალიის ბუნებრივი პარკების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ მამაკაცზე თავდამსხმელი ნიანგი დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის იყო. დეპარტამენტის თანამშრომლები რეინჯერებთან ერთად ეძებენ რეპტილიას, რომლის დაჭერის შემდეგ მას სხვა ადამიანებისთვის უსაფრთხო ადგილას გადაიყვანენ.

„დროში მოგზაურმა“ აშშ-ს არნახული ბუნებრივი კატასტროფები უწინასწარმეტყველა

ტიკ ტოკის მომხმარებელმა, რომელიც საკუთარ თავს დროში მოგზაურს უწოდებს და ამტკიცებს, რომ 2671 წლიდანაა მოსული, გამოაქვეყნა იმ ბუნებრივი კატასტროფების სია, რომლებიც თითქოსდა 2023-24 წლებში მოხდება.

– ჩემს დროში 2023-24 წლები ბუნებრივი მოვლენების მხრივ ისტორიაში ყველაზე უარესად აღიარეს, – განაცხადა დროში მოგზაურმა, რომელიც ენო ალარიკის სახელითაა ცნობილი.

შემდეგ მან იწინასწარმეტყველა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს მეექვსე კატეგორიის „მეგაქარიშხალი“ დაატყდება თავს, რის შედეგადაც დაზარალდება ფლორიდის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კაროლინას შტატები. დეკემბერში კი, მისი მტკიცებით, ქვეყანას თავს დაატყდება არნახული სიძლიერის „ელექტრული ქარიშხალი სეტყვით“. მან იქვე განმარტა, რომ ეს ახალი სახის ქარიშხალია, რომლის დროსაც ერთმანეთს ერევა სეტყვა და ჭექა-ქუხილი და რომელიც ყველაფერს ანგრევს და წვავს, რასაც კი შეეხება.

ალარიკის თქმით, ელექტრული ქარიშხლიდან მოკლე დროში 19 კილომეტრი სიგანის მძლავრი ქარბორბალა ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონს გაანადგურებს. ამას მოჰყვება 9,8 ამპლიტუდის 45-წუთიანი მიწისძვრა სან-ანდრეას რღვევაში.

ეს მიწისძვრა, რომელსაც მომავალში თითქოსდა „დიდ ჯონს“ უწოდებენ, გამოიწვევს 230 მეტრი სიმაღლის ცუნამის ტალღების წარმოქმნას და ის ძირითადად კალიფორნიის შტატის სანაპიროს დაატყდება თავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ჟოან ლაპორტა: მესის გრანდიოზულ გაცილებას მოვუწყობთ

ბარსელონას პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ ესპანურ მედიასთან ისაუბრა, სადაც აღნიშნა, რომ არგენტინელ ფეხბურთელ ლეო მესისთან კონტრაქტი გამზადებული იყო, მაგრამ ფეხბურთელის გადაბირება ვერ მოხერხდა.

ჟოან ლაპორტა:

– მესისთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ინტერ მაიამიში ტრანსფერის შემდეგ მასთან არ გვისაუბრია. ლეოს კონტრაქტი მზად გვქონდა, მაგრამ მისი გაფორმება შეუძლებელი იყო. თუმცა, ბარსელონა ყოველთვის მესის სახლი იქნება. ითამაშებს თუ არა არგენტინელი ისევ ბარსაში, ეს რთული საკითხია. აღნიშნული კითხვა მესის უნდა დავუსვათ. ლეო მაღალ დონეზე თამაშს ყოველთვის შესძლებს, მაგრამ მის დაბრუნებაზე ვერაფერს ვიტყვი. კლუბის 125-ე დაბადების დღეზე მესის დიდებულ გაცილებას მოვუწყობთ...

ახლა სხვა საკითხებზე ვართ გადართული – ერთი მარჯვენა მცველი და ორი ნახევარმცველი უნდა შევიძინოთ, რომ ჩავის მოთხოვნები შევასრულოთ. როცა სწორი დრო იქნება და ტრანსფერებს დავასრულებთ, ჩავისაც ახალ კონტრაქტს გავუფორმებთ...

ანსუ ფატის მომავალს ბარსელონაში ვხედავ. მას წარმატების მიღწევა აქ სურს. ანსუ გოლეადორია. ჩავის მისი სჯერა და უნდა, ფატის ახალი შანსი მისცეს...

გიუნდოგანი და ინიგო მარტინესი დავიმატეთ – ისინი კიდევ უფრო გაგვაძლიერებენ, ისევე, როგორც სხვები, რომლებიც მოვლენ. მათ უპრობლემოდ დავარეგისტრირებთ...

ჯერ არ ვიცით, ვიტორ როკეს დარეგისტრირებას წელს შევძლებთ თუ არა – ეს ლა ლიგაზე იქნება დამოკიდებული...

გუნდმა მნიშვნელოვანი ტიტულები კვლავ მოიგო და მომავალს ამბიციურად ვუყურებთ. გვსურს, მომავალ წლებში ქომაგებს დიდი სიხარული მივანიჭოთ...

თეთრი გასვლითი ფორმა? ეს მაისური ვნახე და ძალიან მომეწონა. კომერციულმა ბრენდებმა აღნიშნული საკითხი კარგად შეისწავლეს...

კატარში არის ბიზნესჯგუფი, რომელსაც ბარსას აქტივების გამოყენება სურს. თუ საინტერესო შეთავაზებას მივიღებთ, საქმეს განვიხილავთ...

ნეგრეირას საქმე? გვჯერა, რომ ბარსას ვერავინ დასჯის, რადგან უდანაშაულონი ვართ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა საკუთარ ბაღში ვარდისფერი კალია აღმოაჩინა



უელსის კუნძულ ანგლსიზე მდებარე ქალაქ ლანდეგფანის მკვიდრმა 65 წლის მოყვარულმა ფოტოგრაფმა გერი ფილიპსმა, რომელიც საკუთარ ბაღში ყვავილების მოვლით იყო დაკავებული, უიშვიათესი ვარდისფერი კალია აღმოაჩინა.

მამაკაცი მწერის შეფერილობამ გააოგნა და გადაწყვიტა, მიპარვოდა ფოტოაპარატით და მისთვის სურათი გადაეღო.

აღნიშნული კალია კონეკის მოკლეფრთიანთა სახეობას განეკუთვნება და ის მთელ დიდ ბრიტანეთშია გავრცელებული. როგორც წესი, ისინი უმეტესად მწვანე შეფერილობის არიან, თუმცა, გვხვდებიან ყავისფერი და ასევე ერთდოეულად ორივე შეფერილობის მქონე მწერებიც. ვარდისფერ შეფერილობას კი კალიები გენეტიკური დარღვევის შედეგად იღებენ. ეს შეფერილობა მათ მტაცებლებისთვის ადვილად მოსახელთებელ ნადავლად აქცევს, ვინაიდან ისინი შენიღბვის უნარს კარგავენ.

ბუნების დაცვის საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენელმა პოლ ჰეზერინგტონმა განმარტა, რომ კალიის ვარდისფერი შეფერილობა გამოწვეულია მუტაციით, რის შედეგადაც მის გარე საფარში ჭარბობს წითელი პიგმენტები და ამავე დროს მკვეთრადაა შემცირებული შავი პიგმენტები. ეს მოვლენა ერიტრიზმის სახელითაა ცნობილი.

პოლიციის ძაღლის დაკბენისთვის მამაკაცმა ციხეში ამოჰყო თავი



აშშ-ში მანქანის მძღოლმა, რომელიც გზაში პატრულმა გააჩერა, პოლიციის ძაღლი დაკბინა.

დელავერის შტატის ქალაქ უილმინგტონის მკვიდრი, 47 წლის ჯამალ უინგი, ღამის საათებში პოლიციელებმა სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერეს. ერთ-ერთი სამართალდამცავის თქმით, როდესაც ისინი მას მიუახლოვდნენ, მამაკაცი გაუფრთხილებლად გადმოხტა მანქანიდან და უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადა. პოლიციელებმა გააფთრებული მძღოლის შესაშინებლად ძაღლის გამოყენება გადაწყვიტეს, თუმცა, ის ამან ვერ დაამშვიდა, მათ კვლავინდებურად არ ემორჩილებოდა და ძაღლს რამდენჯერმე უკბინა.

ამის შემდეგ მამაკაცს ერთდროულად რამდენიმე პოლიციელი დაესხა თავს და გაკოჭეს. დაკავების დროს მათ შენიშნეს, რომ მამაკაცს ძლიერი ალკოჰოლის სუნი ასდიოდა. დაკავების დროს დაზიანება თავად უინგმაც მიიღო. ასევე დაზიანებები მიიღეს პოლიციის ძაღლმა და ორმა სამართალდამცავმა.

მამაკაცს ბრალად წარედგინა მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა, პოლიციელებსა და სასამსახურო ძაღლზე თავდასხმა, დაკავების დროს დაუმორჩილებლობა, ბოროტი ხულიგნობა. მას გირაოს სახით 34,2 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა.

მამაკაცი, რომელიც ქალს კაბის ქვეშ ვიდეოს უღებდა, პოლიციამ დააკავა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, რომელმაც მაღაზიაში საყიდლებზე შესულ ქალს კაბის ქვეშ რამდენიმე ვიდეო გადაუღო.

31 წლის ჯეინ სმიტი მას შემდეგ დაიკავეს, როდესაც მისი ქმედება მაღაზიის დაცვის თანამშრომელმა შენიშნა. მანამდე მამაკაცი 20 წუთის განმავლობაში უკან დაჰყვებოდა ქალს და ტელეფონის კამერას მის კაბის ქვეშ უმიზნებდა.

დაკავებულის თქმით, ის დაზარალებულს არ იცნობდა, იმ დროს შენიშნა, როდესაც პროდუქტს ყიდულობდა და ძალიან მოეწონა.

ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, მამაკაცი ადრეც დაუკავებიათ მსგავსი დანაშაულისთვის. კერძოდ, ის 2019 წელს იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც ქალისთვის კაბის ქვეშ სურათის გადაღებას ცდილობდა. მაშინ მის მიზანს ფოტოსურათის პორნო ვებ-გვერდზე გამოქვეყნება წარმოადგენდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ქართული გუნდების მეტოქეები

დღეს საქართველოს სამი გუნდი ჩვენს ქვეყანას უეფას კონფერენსლიგაზე წარადგენს. ქუთაისის ტორპედო შინ მიიღებს ბოსნიურ სარაევოს; ბათუმის დინამო ალბანეთში ტირანას ეთამაშება; გორის დილა, ასევე სტუმრად, სლოვაკურ დუნაისკაია სტრედას.

ტორპედომ კონფერენსლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წინ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა და გულშემატკივრებსაც წარუდგინა.

იმერულ გუნდს დაუბრუნდა გიორგი ფანცულაია, რომელიც ბოლოს ყაზახეთში აკტაუ კასპიის ღირსებას იცავდა, სადაც 13 მატჩში 6 გოლი გაიტანა, 3-ჯერ კი საგოლე პასი გააკეთა. გიორგიმ ტორპედოსთან 1.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, 1 წლით განახლების პერსპექტივით. ფანცულაია ტორპედოში 2011-14 და 2020 წლებში თამაშობდა. საქართველოში ასევე იყო დინამო ბათუმის, ჩიხურას, სამტრედიას, დილას, საბურთალოსა და ზესტაფონის წევრი.

ტორპედოში ანრი ჭიჭინაძეც იმავე კონტრაქტით დაბრუნდა, რომელიც ბოლოს უზბეკურ ტურანში თამაშობდა, მანამდე იყო დილასა და საბურთალოში, ხოლო ტორპედოში 2015-19 წლებში ირიცხებოდა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

ტორპედო გაძლიერდა სერბი შემტევი ნახევარმცველით – ნიკოლა ნინკოვიჩით, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატისთვის შთამბეჭდავი კარიერა აქვს: 28 წლის სერბმა კარიერა პარტიზანში დაიწყო, მერე კი იტალიის სერია ა-ში ირჯებოდა: კიევო, ჯენოა, ემპოლი და ასკოლი. ბოლო პერიოდში ჯერ ნოვი სადისა და შემდეგ ბორაცის რიგებში გამოდიოდა. მას ჩემპიონთა ლიგაზე 15, ხოლო ევროპალიგაზე 16 მატჩი აქვს ჩატარებული. კონტრაქტი ამ შემთხვევაშიც ანალოგიურია.

ქუთაისელთა კიდევ ერთი ახალწვეული ავღანელი შემტევი ომრან ჰაიდარია, რომელიც ბოლოს პოლონური არკას ღირსებას იცავდა, ხოლო მანამდე ლეხია გდანსკში სამი სეზონი გაატარა. ასევე უთამაშია ნიდერლანდებში, ემენისა და დორდეხტის შემადგენლობაში.

ახლა კი ტორპედოს მეტოქე:

სარაევო საშინაო მატჩებს „ასიმ ფერჰატოვიჩ-ჰასეზე“ ატარებს, რომელიც 35.630 მაყურებელს იტევს. საინტერესოა, რომ დედაქალაქურ კლუბს მალაიზიელი მფლობელი ჰყავს – ვენსან ტანი, ხოლო გუნდის მთავარი მწვრთნელია მირზა ვარეშანოვიჩი.

სარაევო ბოსნიის დედაქალაქის კლუბია. იყო ქვეყნის ყველაზე წარმატებული კლუბი ყოფილ იუგოსლავიაში, რომელმაც 2-ჯერ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი. სადღეისოდ ადგილობრივ უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბია – 5-ჯერ მოიგო ჩემპიონატი და 7-ჯერ ქვეყნის თასი.

კლუბი დაარსდა სარაევოს ნაცისტებისგან გათავისუფლების შემდეგ. საინტერესოა, რომ სარაევოსა და ტორპედოს რაღაცები საერთო აქვთ – ორივე 1946 წელს დაარსდა. ქართული გუნდი 3 მაისს, ხოლო ბოსნიური – 24 ოქტომბერს.

იუგოსლავიის საფეხბურთო კლუბი პირველად გამოჩნდა... ტორპედოს სახელით, ორი საფეხბურთო გუნდის – უდარნიკისა და სლობოდას შერწყმის შედეგად. 1947 წელს გუნდს ეწოდა მეტალაცი, ხოლო 1949 წელს მიიღო სახელი, რომელსაც დღემდე ატარებს.

გუნდში ქართველი ფეხბურთელიც თამაშობს – საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გიორგი გულიაშვილი.

ბათუმის დინამოს გასულ წელს ცოტა დააკლდა, ბრატისლავის სლოვანის რთული ბარიერი რომ გადაელახა, მაგრამ მატჩის დამატებითი დროის ბოლო წამებზე ბურთი პირდაპირ კუთხურიდან გაუშვეს და...

წელს კონფერენსლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ ზღვისპირელებს ალბანეთის ერთ-ერთი გამორჩეული კლუბი შეახვედრა.

ტირანა დედაქალაქური გუნდია. დაარსდა 1920 წლის 16 აგვისტოს. არის ყველაზე ტიტულოვანი და პოპულარული საფეხბურთო კლუბი ალბანეთში.

გასულ სეზონში, პარტიზანთან ჭიდილში, ძალიან ცოტა დააკლდა ჩემპიონობამდე. ორივე გუნდს თითქმის ყველაფერი თანაბარი ჰქონდა – ქულები, მოგებები, გატანილი გოლები... ტირანა სჯობდა კიდეც კონკურენტს გაშვებული გოლების მხრივ, მაგრამ ტიტულის ბედი ურთიერთშეხვედრებმა გადაწყვიტა...

გუნდის მთავარი მწვრთნელი ალბანეთის ნაკრების ყოფილი მეკარე ორგეს შეხია, რომელიც მესამე წელია, ტირანას ავარჯიშებს. მანამდე, შეხის ხელმძღვანელობით, შკენდერბეუ 6-ჯერ გახდა ალბანეთის ჩემპიონი, 2022 წელს კი ტიტულამდე ტირანაც მიიყვანა.

სულ ეს გუნდი 26-ჯერ გახდა ალბანეთის ჩემპიონი, 16-გზის – თასის მფლობელი და 9-გზისაც – ალბანეთის სუპერთასის გამარჯვებული.

კლუბის საშინაო არენა, „სელმან სტერმასი“, 12.500 მაყურებელს იტევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მატჩებს ალბანეთის მთავარ არენაზე, ნაკრების საშინაო არენა „ქემალ სტაფაზე“ ატარებს, რომელსაც 30.594 მაყურებელის მიღება შეუძლია.

გარდა იმისა, რომ საშინაო არენაზე საუკეთესო გუნდია, ტირანა ალბანურ გუნდებს შორის ევროპაშიც საუკეთესოა: 4-ჯერ მიაღწია ევროთასების მერვედფინალს, მათგან 3-ჯერ – ჩემპიონთა თასზე (ჩემპიონთა ლიგის წინამორბედი), მაგრამ ეს იყო შორეულ 1980-იან წლებში.

საუკეთესო შედეგი ტირანამ 2020-21 წლების სეზონში აჩვენა, როცა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო თბილისში დინამო 2:0 დაამარცხა. შემდეგ წრეში ტირანამ 0:1 წააგო ცრვენა ზვეზდასთან და გადაერთო ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც იანგ ბოიზთან 0:3 დამარცხდა და ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავიდა.

გორის დილას კარგი მწვრთნელი ჰყავს – ანდრეი დემჩენკო, თუმცა, მწირი ფეხბურთელების რაოდენობა მიუღებელად ამრეზურებს. უკრაინელი სპეციალისტი ახერხებს შედეგი დადოს... თუმცა, მხოლოდ ეროვნულ ლიგაში.

ევროსარბიელზე კი, მეტოქე რთული ჰყავს – დუნაისკა სტრედა, რომელიც 1904 წელს დაარსდა, თამაშობს „მოლ არენაზე“, რომელიც 12.700 მაყურებელს იტევს. დუნაისკა სტრედა ერთიანი ჩეხოსლოვაკიის დროს 3-ჯერ გავიდა მეორე ადგილზე, ერთხელ მოიგო სლოვაკეთის თასი და ერთხელაც – ჩეხოსლოვაკიის თასი.

ევროთასებზე დუნაისკა სტრედამ პირველად 1987-88 წლებში ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია. გასულ სეზონში გორელთა მომავალმა მეტოქემ ორი ეტაპი გაიარა: ჯერ ჩრდილო ირლანდიურ კლიფტონვილს აჯობა (2:1, 3:0), შემდეგ კი, ფარერული ვიკინგური (2:0, 2:0) დაამარცხა. თუმცა, ვერ გადალახეს რუმინული სტიაუას (0:1, 0:1) ბარიერი.

დუნაისკა სტრედას 47 წლის თავკაცი ადრიან გულა სლოვაკეთში ერთობ ანგარიშგასაწევ მწვრთნელად ითვლება. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტრენჩინში, ჟილინაში, სლოვაკეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, ჩეხურ პლზენში, პოლონურ ვისლაში.

დუნაისკა სტრედა, დიდწილად ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული. გუნდში ასპარეზობენ ფეხბურთელები ჩეხეთიდან, უნგრეთიდან, ესპანეთიდან, ბრაზილიიდან, სირიიდან, პორტუგალიიდან, საბერძნეთიდან...

თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში უთამაშიათ უნგრელ ნახევარმცველ ჟოლტ კალმარს, კონგოელ შემტევს იოჰან ანძუანას, სირიელ შუახაზელ ამარ რამადანისა და მონტენეგროელ ფორვარდ ნიკოლა კრსტოვიჩს.

დუნაისკა სტრედასთან ძველი ანგარიშებიც გვაქვს. 2018-19 წლების ევროპალიგის გათამაშებაში, ერთი შეხედვით, აუტსაიდერად შერაცხულმა სლოვაკურმა კლუბმა ორმატჩიან დუელში თბილისის დინამოს (1:1; 2:1) აჯობა. არადა, თავიდან თბილისში დინამო დაწინაურდა, მაგრამ 86-ე წუთის შემდეგ 2 ბურთი გაუშვა და ტურნირს გამოეთიშა.

საბა საზონოვით სამი იტალიური კლუბი დაინტერესდა

საქართველოს ნაკრების მცველი საბა საზონოვი სერია ა-ს სამი კლუბის ინტერესებშია. თავდაპირველად, გაჩნდა ცნობა, რომ 21 წლის ფეხბურთელს სასუოლო და უდინეზე აკვირდება.

– სასუოლოს ხელმძღვანელობის ყურადღება მოსკოვის დინამოს მცველ საბა საზონოვზეა კონცენტრირებული. ის 2002 წელს არის დაბადებული. ამჟამად მხარეებს შორის პირველადი მოლაპარაკებები მიმდინარეობს და არის შანსი, კონკრეტული ტრანსფერი გახდეს. საზონოვი უდინეზესაც აინტერესებს, მაგრამ მისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია.

შემდეგი ინფორმაცია უკვე ფროზინონეზეც გაჩნდა, სადაც უკვე ჩაირიცხა გიორგი კვერნაძე.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე საზონოვით მეორე ბუნდესლიგის ჰამბურგიც იყო დაინტერესებული.

შეგახსენებთ, საზონოვმა ახლახან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და რამდენიმე გამოცემის მიხედვით, ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

ამასობაში საზონოვი მოსკოვის დინამოში დაბრუნდა და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. მოსკოვური კლუბის პრესსამსახურმა საბასთან ინტერვიუ ჩაწერა, რომელშიც საუბარი ევროპის ჩემპიონატით დაიწყო.

– მოგვიყევი როგორ ჩაიარა შენთვის ევროპის ჩემპიონატმა?

– ევროპის ჩემპიონატზე ატმოსფერო შესანიშნავი იყო. ცხოვრებაში პირველად მივიღე ასეთ ტურნირში მონაწილეობა. განსაკუთრებულად მახსოვს პორტუგალიასთან მატჩი. ეს იყო ჩემი დებიუტი ოფიციალურ მატჩში, ნაკრებში, სადაც გოლი გავიტანე და განსაკუთრებული მომენტი იყო. ტურნირისთვის სეროზულად მოვემზადეთ, ყველა ფეხბურთელმა დიდი სურვილი გამოავლინა და საბოლოოდ, ძალიან კარგად გამოვედით.

– როგორი რეაქცია გქონდა ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრაზე?

– რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო იყო, ჯერ ორი ტურის შემდეგ სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრა, შემდეგ კი მთელი ტურნირის. ვფიქრობ, ეს არის იმის მაჩვენებელი, თუ რა სამუშაო გავწიე მთელი სეზონის განმავლობაში და ეს ზღვარი არ არის.

– ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დასვენების დრო გქონდა?

– ცოტა დავისვენე. რა თქმა უნდა, უფრო ხანგრძლივი შვებულება მსურდა, მაგრამ მესმის, რომ სეზონი მალე დაიწყება. მე და ლუკა გაგნიძე ევროპის ჩემპიონატიდან დინამოში დავბრუნდით და დასახარჯად მზად ვართ.

– ახალი მთავარი მწვრთნელის ვარჯიშებზე რა გსმენია?

– საწვრთნელი პროცესის შესახებ ბევრი მსმენია, რადგან ბიჭებმა ყველაფერი მითხრეს. მათი თქმით, ვარჯიში რთულია. დღეს მწვრთნელს პირველად შევხვდი, მანამდე კავშირი სოციალური ქსელით გვქონდა. პირველი შთაბეჭდილება დატოვა და ახლა ვარჯიშის დროს ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ.

– რას იტყვი ფაბიან ბალბუენას დინამოში დაბრუნებაზე?

– ფაბიანს დინამოში ჩემი პირველი სეზონიდან ვიცნობ. ის გამოცდილი ცენტრალური მცველია. ნებისმიერი კონკურენცია კარგია, ამიტომ, მას და სხვა მცველებს კონკურენციას გავუწევ და მწვრთნელი გადაწყვეტს, ვინ ითამაშებს.

შეგახსენებთ, საზონოვმა საქართველოს ნაკრებში თამაში გასული წლის შემოდგომაზე გადაწყვიტა. ეროვნულ გუნდში 2 მატჩი ჩაატარა, ხოლო 21-წლამდელებში 7-ჯერ გავიდა მოედანზე და 1 გოლი გაიტანა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

20 წლამდე ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდა

საქართველოს 20 წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში მორიგი მატჩი გამართა და დაწყების წინ ტრაგიკულად დაღუპული დათუნა ჟღენტის ხსოვნას პატივი მიაგო.

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირზე მე-3 შეხვედრა შვედეთთან ითამაშა და 78:91 წააგო, რის შემდეგაც ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ აქვს.

ქართველებს აქამდე თითო მოგებ-წაგება ჰქონდათ და ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ შვედეთს ეთამაშებოდნენ, რომლის მინიმუმ 16 ქულით დამარცხება სჭირდებოდათ, მეოთხედფინალში რომ გასულიყვნენ. თუმცა, ამ ყველაფერის ილუზია პირველივე მეოთხედში გაქრა, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 21 ქულით დათმო – 12:33 და წარმატების შანსი გადაეწურა. მართალია, ჩვენმა ნაკრებმა მეორე ტაიმში თამაშში დაბრუნება შეძლო, როცა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა, თუმცა, მატჩის დასკვნით პერიოდში სკანდინავიელებმა ისევ გამოიღეს ხელი, ლიდერობა გაიმყარეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც.

ჩვენს ნაკრებში 19 ქულით, 14 მოხსნითა და 4 პასით საუკეთესო შედეგი გიორგი სულაბერიძემ დააფიქსირა. 19 ქულა და 7 მოხსნა გუგა ნაცვლიშვილმა, ხოლო 14 ქულა – ბაქარ ბერეკაშვილმა დააგროვა.

საქართველოს ნაკრები ჯგუფის ბოლო შეხვედრას 12 ივლისს, აუტსაიდერ აზერბაიჯანთან გამართავს, რის შემდეგაც, დიდი ალბათობით, 9-16 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთვება.

ქართველი ჩოგბურთელი ნახევარფინალში არ შეუშვეს

ქართველი ჩოგბურთელი ოქსანა კალაშნიკოვასა და ბელარუსი ირინა შიმანოვიჩის წარმატებული სერია უიმბლდონზე მეოთხედფინალში შეწყდა.

23 წლის კალაშნიკოვასა და ბელარუსი სპორტსმენი წყვილი ნახევარფინალში გასასვლელ მატჩში ამერიკელ კეროლინ დოლეჰაიდთან და ჩინელ შუაი ჟანგთან 4:6, 1:6 დამარცხდა.

არადა, პირველი სეტში კალაშნიკოვამ და შიმანოვიჩმა მეშვიდე გეიმში მეტოქეს ჩაწოდება აართვეს და 4:3 დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი გეიმი დათმეს და სეტიც ზედ მიაყოლეს.

მეორე სეტში კი, მეტოქესთან საერთოდ ვერაფერი გააწყვეს და, თითქმის უბრძოლველად წააგეს. შეგახსენებთ, რომ კალაშნიკოვა-შიმანოვიჩის დუეტმა მანამდე სამი გამარჯვება იზეიმა: მათ ჯერ იაპონელები აოიამა და შიბაჰარა 6:2, 6:4 დაამარცხეს, შემდეგ ნორვეგიელი ეიკერსა და რუს პანოვას 6:0, 6:4 მოუგეს, ხოლო ბრაზილიელ გამარა მარტინშსა და ბელარუს მაროზავას 6:4, 7:6 სძლიეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ხახვით, ძმრითა და პილპილით შეზავებული სამწვადე ხორცი; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 4. აეროპორტი პეკინში; 7. გემების სადგომი ნავსადგურში; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 12. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 15. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 17. სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში; 20. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 5. ქართველი დრამატურგი, მწერალი, სცენარისტი, მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 6. პარიზის ძველი სახელწოდება; 8. მხარე გერმანიაში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად; 13. ქართული კონიაკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 18. ფინეთის ისტორიული სახელწოდება; 19. სიკეთე, კეთილი საქმე; 21. სტადიონი ლონდონში; 22. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 23. ორადგილიანი ველოსიპედი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. ლიმფა; 5. ბასტილია; 6. სამბა; 7. პერგოლა; 9; ფაშატი; 13. კოლიე; 17. ლოტი; 18. ბოა.

თარაზულად: 1. ტალანტი; 3. პოპოლო; 8. ცაბაძე; 10. აქსიომა; 11. პორშე; 12. ვაქცინა; 14. პორტიე; 15. ბროკოლი; 16. იალტა; 19. ალიევი; 20. კალანდა; 21. კრუიზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზაქათალა; 2. ჰალვა; 3. ტრაგედია; 4. იამაჰა; 7. ჯინსი; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ალმასი; 15. პრიკაზი; 17. ჰეზბოლა; 20. სიათა.

თარაზულად: 5. საგურამო; 6. გერნიკა; 8. სევილია; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. ამარეტო; 16. ვილჰელმი; 18. მედეა; 19. ნიყვი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ივლისი

აშშ დოლარი — 2.5834

ევრო — 2.8469

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3380

100 რუსული რუბლი — 2.8556

ამინდის პროგნოზი 13 ივლისისათვის

ბარსელონა ტერ შტეგენს ახალ კონტრაქტს სთავაზობს

ბარსელონას მეკარეს მარკ ანდრე ტერ შტეგენს მომავალ წელს ბარსელონასთან კონტრაქტი ეწურება და კატალონიური გუნდი ცდილობს, მასთან ახალი ხელშეკრულება გააფორმოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერ შტეგენი მზად არის ანაზღაურება შეიმციროს, რადგან ეს ბარსელონას გაუადვილებს ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირებას. ტერ შტეგენი ბარსელონაში 2014 წლიდან თამაშობს.

მარკუს რეშფორდი: „ეს სეზონი მანჩესტერისთვის მნიშვნელოვანი იქნება“

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონი მისი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან მანჩესტერმა უნდა დაამტკიცოს, რომ მათ ტიტულების მოგება შეუძლიათ:

– მინდა, რომ ჩემს გუნდს მაქსიმალურად დიდი წარმატება მოვუტანო და ჩვენ შეგვიძლია, რომ ტიტულები მოვიგოთ, მაგრამ ეს რთული იქნება და ამისთვის სტაბილურობაა საჭირო.

ნაპოლის ოსიმენის გაყიდვა არ სურს

ნაპოლის თავისი ნიგერიელი ფორვარდის ვიქტორ ოსიმენის გაყიდვა არ სურს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ოსიმენი შეინარჩუნოს.

ოსიმენი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, რადგან მას უფრო მაღალი ხელფასი სურს და აქვს რამდენიმე შეთავაზება ინგლისური გუნდებისგან. უახლოეს დღეებში ოსიმენი ნაპოლის ხელმძღვანელობას შეხვდება და ამ შეხვედრაზე ბევრი რამ გაირკვევა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სექს-ჩემპიონატის გამარჯვებულმა პრიზი მიიღო და მომავალზე ისაუბრა

ხორვატმა მოდელმა მარია ზადრავეცმა, რომელიც შვედეთში გამართული სექს-ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, სოციალურ ქსელებში მოგებული თასის ფოტოსურათი გამოაქვეყნა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

27 წლის ხორვატმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც თასით ხელშია გამოსახული და მადლობა გადაუხადა ჩემპიონატის ორგანიზატორებს იმისთვის, რომ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცეს. ასევე ზადრავეცმა, რომელმაც მანამდე ჩემპიონატიდან გაქცეული კონკურენტები გააკრიტიკა, განაცხადა, რომ მათ მიმართ წყენას აღარ განიცდის და თითქოსდა მათ უკვე მიულოცეს გამარჯვება.

ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ხორვატმა განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნებას და საკუთარი თავისთვის იახტაზე სამკვირიანი დასვენების მოწყობას აპირებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ოცნებობს ისეთ ფილმში გადაღებაზე, სადაც მას ერთბაშად 50 პარტნიორი ეყოლება.

წარსულში მარია ზადრავეცი სამშობლოში რესტორანს ფლობდა და კეიტერინგით იყო დაკავებული. ახლა კი ის თვლის, რომ იმ დიდების წყალობით, რომელიც მას ჩემპიონატში გამარჯვებამ მოუტანა, უფრო მსხვილ მსოფლიო დონის პროექტებში გადაღებას შეძლებს.

კარლოს III-მ ნუდისტები საკუთარ პლაჟზე შეუშვა

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე კარლოს III-მ, 29– წლიანი აკრძალვის შემდეგ, პირველად დართო ნება ნუდიზმის მიმდევრებს, მის ერთ-ერთ პლაჟზე გაირუჯონ.

დიდი ბრიტანეთის მეფემ ნუდისტები ისტ-რაიდინგ-ოფ-იორკშირის სოფელ ფრაისტორპის პლაჟზე შეუშვა. იქ სიშიშვლის მოყვარულებს შესვლა 1994 წლიდან ჰქონდათ აკრძალული, როდესაც ნუდისტები პლაჟიდან პოლიციის ძალით რამდენიმე ინციდენტის შემდეგ გამოაძევეს. კერძოდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას სექსისთვის. ადგილობრივმა საბჭომ პლაჟზე ნებისმიერი გაშიშვლება აკრძალა.

ახლა, როდესაც აღნიშნული ტერიტორია კვლავ გახდა სამეფო ტახტის საკუთრება, ნუდისტებისთვის შემოღებული მკაცრი აკრძალვა გაუქმდა. რაიონის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ იქ გაშიშვლება ოფიციალურად ნებადართული არ არის, თუმცა, არც იკრძალება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

თვითმფრინავის ბორტგამცილებელმა გოგონამ შენიშნა, რომ ერთ-ერთი მგზავრი მამაკაცი ერთიანად ოფლად იღვრება, კანკალებს და ფრჩხილებს იჭამს. გოგონა მამაკაცს ეკითხება:

– ერთი ჭიქა კონიაკი ხომ არ მოგიტანოთ? დაგაწყნარებთ.

მცირე ყოყმანის შემდეგ მამაკაცმა უპასუხა:

– კარგი...

გარკვეული დროის შემდეგ ბორტგამცილებელი ხედავს, რომ მამაკაცი კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია:

– მეორე ჭიქა მოგიტანოთ?

მამაკაცმა ხმის ამოუღებლად დაუქნია თავი.

როდესაც მგზავრს მესამედ ჩაუარა, შეინიშნა, რომ ის ქვითინებს. გაკვირვებული ეუბნება:

– პირველად ვხედავ, რომ ადამიანს ასე ეშინოდეს ფრენის.

– ფრენის კი არ მეშინია, ვცდილობ, სმას დავანებო თავი!

●●●

ქმარმა გადაწყვიტა, უნიტაზის საჯდომი შეეღება. შეღება, თვითონ კი ბაღში წავიდა ლუდის დასალევად. სამსახურიდან სახლში დაბრუნებულმა ცოლმა ვერ შენიშნა, საჯდომი რომ შეღებილი იყო, დაჯდა ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მიეწება. სახლში დაბრუნებულმა ქმარმა ცოლი ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოაჩინა, სხვა რა გზა ჰქონდა, უნიტაზს საჯდომი მოხსნა, ცოლს პალტო მოახურა და ისე წაიყვანა ექიმთან. ადგილზე მისულმა ცოლი ექიმისკენ ზურგით დააყენა, პალტო აუწია და ეკითხება:

– ექიმო, ოდესმე ასეთი რამ თუ გინახავთ?

– საერთოდ, ბევრჯერ, მაგრამ ჩარჩოში ჩასმული პირველად!

●●●

ქმარი ცოლს ურეკავს და ეუბნება:

– მაპატიე, ძვირფასო, შერეკილი რომ გიწოდე.

– არა უშავს, შენ ეს ხომ ცხელ გულზე წამოგცდა.

– კი მაგრამ, ძვირფასო, რა ხმაურია, ტრანსპორტში ხარ?

– არა, მაცივრის საყინულეს მტვერსასრუტით ვწმენდ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გამიგია, რომ ზოგიერთები მთვარესა და მარსზე მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ, არადა შეეძლოთ აქვე, ზღვის ფსკერზე ეყიდათ.

– მაგრამ იქამდე ვერ მიაღწევენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ბაშარულმა თბილისი დატოვა

მომღერალმა ნინო ბაშარულმა თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ხელოვანმა დედაქალაქში ცხოვრებას, რაჭაში გადასვლა ამჯობინა. ის სოფელ თლუღში წინაპრების მამულს დაუბრუნდა.

როგორც ნინო ამბობს, მამაპაპისეულ სახლს გაარემონტებს და ოჯახთან ერთად იცხოვრებს.

ნოდარ დუმბაძის 95 წლის იუბილეს წიგნი მიეძღვნა

მწერლისა და პოეტის ნოდარ დუმბაძის 95-ე დაბადების დღე მისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემით აღინიშნება.

ინფორმაცია შემოქმედის შვილმა ქეთევან დუმბაძემ გაავრცელა:

– ეს არის საიუბილეო კრებული, რომელიც ეძღვნება ნოდარ დუმბაძის დაბადების 95-ე წლისთავს. მასში თავმოყრილია რეცენზიები, წერილები, ნარკვევები, გამოკვლევები და წარმოადგენს ნოდარ დუმბაძის მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა-დამუშავების პირველ მცდელობას.

კრებულში ასევე ნახავთ ნოდარ დუმბაძის ხელნაწერებს. ვფიქრობთ, კრებული დიდ სამსახურს გაუწევს ლიტერატურის მკვლევარებს, სტუდენტებსა და ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე შეყვარებულ ქართველ მკითხველს.

სტეფანე ბათუმში ახალ სივრცეს გახსნის

მომღერალი სტეფანე ბათუმში 21 ივლისს კონცერტს გამართავს და ახალ სივრცეს გახსნის:

– ბათუმში სულ მალე გაიხსნება ახალი სივრცე, რომლის ანალოგიც არ არსებობს. იმდენად აღჭურვილია ტექნიკით, რომ ნებისმიერი უცხოელის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ძირითადად იქნებიან საერთაშორისო ვარსკვლავები წარმოდგენილი ამ სეზონზე. მიხარია, რომ 21 ივლისს ჩვენი კონცერტიც გაიმართება და ნამდვილად ამ დღისთვის პროგრამა სრულად ადაპტირებული იქნება ამ სივრცისთვის და რასაც ქვია შოუ, შოუს გპირდებით, ბევრი მოწვეული მუსიკოსითა და ახალი კოლაბორაციით. თუ ვინმეს ჩვენს კონცერტზე დასწრების სურვილი გაქვთ, არ გამოტოვოთ.

გელოდი ფოცხიშვილის სახელობის მედლები დამზადდება

ანსამბლ „მეტეხის“ შემქმნელისა და მოცეკვავის გელოდი ფოცხიშვილის სახელობის მედლებს ოსკარ შინდლერის აკადემია დაამზადებს;

78 წლის ასაკში გარდაცვლილი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის სახელობის მედალი გადაეცემა ყველას, ვისაც ფოცხიშვილების ოჯახი ცეკვაში წარჩინებულად დაასახელებს.

ინფორმაცია ოსკარ შინდლერის აკადემიის ხელმძღვანელმა მაქს შავიტმა გაავრცელა. მისივე თქმით, უკვე მზადაა და რჩეულებს გადაეცემათ თემურ წილკაურისა და ჯამლეტ ხუხაშვილის მედლები.

ლენტეხში კლასიკური საოპერო კონცერტი პირველად გაიმართება

ოპერის მომღერალი ვანიკო გალუაშვილი მთელ საქართველოში საოპერო კონცერტებს ატარებს.

აგვისტოში ოპერის მომღერლები სვანეთს ეწვევიან:

– სვანეთში, ლენტეხში, 6 აგვისტოს, პირველად ტარდება კლასიკური საოპერო კონცერტი „ოპერა შენს ქალაქში“. მასში მონაწილეობენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები და ახალგაზრდა მომღერლები.

ქეთევან საბაძე გრან პრის მფლობელია

მომღერალი ქეთევან საბაძე გრან პრის მფლობელი გახდა. მან გამარჯვება და საუკეთესოს ტიტული 55 ვოკალისტს შორის მოიპოვა. ქეთევანი საესტრადო ვოკალურ ანსამბლ „იმედის“ სოლისტია და უკვე არაერთი ფესტივალისა თუ კონკურსის გამარჯვებულია.

„გოლდ სტარი“ – ასე ერქვა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსს, რომელიც ბათუმში მეცამეტედ ჩატარდა. ფესტივალ-კონკურსში 1.000-ზე მეტი კონკურსანტი მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნიდან და მას საზაფხულო თეატრმა და კონსერვატორიის დარბაზმა უმასპინძლა. გალა-კონცერტი და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალები კი ბულვარის ღია სცენაზე გაიმართა.

55 ვოკალისტს შორის უმაღლესი ჯილდო „გრან პრი“ თბილისის საესტრადო ვოკლურ ანსამბლ „იმედის“ სოლისტმა 12 წლის ქეთევან საბაძემ მოიპოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ესპანელი მწერალი; 2. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცი ასრულებს; 3. ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 4. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 6. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 9. ქართული ლუდი; 13. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 17. იტალიელი კომპოზიტორი მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 18. თევზის ძვალი.

თარაზულად: 1. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 3. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 8. სასტუმრო თბილისში; 10. მეფის საკვების შემმოწმებელი პირი ძველად საქართველოში; 11. ლეონ კავალოს ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 12. მინერალი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა; 14. სინათლის სიკაშკაშის საზომი საერთაშორისო ერთეული; 15. გურიაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. გემთმშენებელი საწარმო; 19. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 20. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს; 21. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა